ბრიუსელში, ევროკომისიის შენობის წინ, საქართველოს დროშა აღიმართა!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭიერებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 29 მარტი. 2017 წ. №66 (8203), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ანაკლიიდან პირეოსამდე, კეთილდღეობის ახალი ზონა შეიქმნება

2

გიორგი კვირიკაშვილი:

ჰომეროსის ეპიკური ნაწარმოებებიდან დაწყებული და ბიზანტიის იმპერიით დამთავრებული, ათასწლეულების მანძილზე, ჩვენ უდიდესი ცივილიზაციის ნაწილი ვიყავით, ჩვენი წარსული ურთიერთდაკავშირებულია. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით როგორც ხალხები, კულტურები და ერები. სწორედ ამიტომ ჩვენ ვბრუნდებით ევროპაში იმ ქვეყნიდან, რომელსაც ოჯახად მივიჩნევთ.

სასამართლომ სანდრო გირგვლიანის საქმეზე დავით ჩხიტუნიძე დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით ჩხიტუნიძე სამოხელეო დანაშაულის ჩადენისთვის დაუსწრებლად ცნო დამნაშავედ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ დავით ჩხიტუნიძემ 2005-2009 წლებში, როგორც საჯარო მოხელემ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულ პირებს: გ. ალანიას, ა. ღაჭავას, მ. ბიბილურიძესა და ა. აფციაურს მიანიჭა არაერთი უკანონო პრივილეგია და ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე არაერთხელ უკანონოდ გამოიყვანა საპატიმრო დაწესებულებიდან, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

სასამართლომ დავით ჩხიტუნიძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სამივე ეპიზოდი დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. დ. ჩხიტუნიძეს დანაშაულთა ერთობლიობით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, საბოლოოდ განუსაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით 1 წლითა და 6 თვის ვადით ჩამოართვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. დავით ჩხიტუნიძე იმყოფება მიმალვაში და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

დავით დვალი, ჯარჯი აქიმიძე: „ეს არის ნაძარცვის გადანაწილების გაგრძელება“

6



შალვა ოგბაიძე:

თბილისში არსებული ავტოსკოლები აბსოლუტურად უკონტროლოა!

5

„ოცნება“ უმუშევრობის კომპენსაციის შემოღებაზე ფიქრობს

4

ესპანეთში ბინის მძარცველთა 60 პროცენტი ქართველები არიან

11

თემურ ქორიძე 7 წერილები მყუდრო სენაკიდან

ანდრო კანდელაკი 12 ღიმილი, რომელმაც საუკუნე გამოიარა

ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲔᲝᲡᲐᲛᲓᲔ, ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ **შენგენის ზონის კარიბჭეს ათენი წარმოადგენს. პირველი უვიზო მიმოსვლა, სიმბოლურად, ათენში განვახორციელე. ესაა ნაბიჯი საქართველოს ევროპაში დასაბრუნებლად — იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი დაბრუნება“,** — ამ სიტყვებით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართულ-ბერძნული კონფერენცია „საქართველო — ევროპიდან ევროპამდე,“ რომელიც ათენის კაპოდისტრიას სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში გაიმართა.

გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, საქართველოს დელეგაციის ვიზიტი საბერძნეთში უბრალო დამთხვევა არ არის, რადგან საბერძნეთი ევროკავშირში მყოფი ქართული დიასპორის უდიდესი მასპინძელია, რომლის ეკონომიკასა და კულტურაზე ქართველი მოქალაქეების უკვე მეორე თაობა თავის კვალს ტოვებს.

სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერი ქვეყნის როლს, რომელიც ცდილობს, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენოს.

„ჩვენ ევროპულ ჩარჩოში ვექცევით და ვცდილობთ, შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ პარტნიორებთან, პატივს სცემს კონტროლისა და ბალანსის სისტემას, აქვს ძლიერი დემოკრატია და ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ევროპის კარიბჭეობა აერთიანებს საბერძნეთსა და საქართველოს. კასპიის ზღვიდან ადრიატიკამდე, ჩვენ გაერთიანების ხელშესახები შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენ ვართ კასპიის რესურსების ევროპაში შეღწევისთვის აუცილებელი გზაგამტარი. საბერძნეთი კი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გაზის რეგიონალური დისტრიბუტორია. ენერგიის გარდა, საბერძნეთი ჩინეთის გზაგამტარიცაა ევროპაში. იქმნება ახალი ლოჯისტიკური ცენტრები ევროპაში, აფრიკაში, ბალკანეთის ქვეყნებში, შუა აღმოსავლეთში და მის მიღმა. ანაკლიის დამთავრების შემდეგ საქართველოც ჩინეთის გზაგამტარი გახდება. ანაკლიიდან პირეოსამდე, კეთილდღეობის ახალი ზონა შეიქმნება და გააძლიერებს დასაქმებას, ვაჭრობას, განვითარებას. იქმნება ახალი შესაძლებლობები ბიზნესის, უსაფრთხოების, პოლიტიკური თანამშრომლობისათვის,“ — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა საქართველო-საბერძნეთის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა შეაფასა და ის ახალი მიმართულებები დაასახელა, რომელიც სამომავლო თანამშრომლობისთვის პრიორიტეტულია: ტრანსპორტირება და ლოჯისტიკა; ტურიზმი და სასტუმრო სექტორი; სოფლის მეურნეობა, კვება და გასტრონომია; მშენებლობა და ენერგეტიკა.

მისივე თქმით, მომავალი ღირსეული პარტნიორობა ისტორიულ კავშირებს ემყარება, რადგან ათენი უდიდესი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია — აქ საქართველო თავს ევროპასთან უფრო ახლოს გრძნობს.

„ჰომეროსის ეპიკური ნაწარმოებებიდან დაწყებული და ბიზანტიის იმპერიით დამთავრებული, ათასწლეულების მანძილზე, ჩვენ უდიდესი ცივილიზაციის ნაწილი ვიყავით, ჩვენი წარსული ურთიერთდაკავშირებულია. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით როგორც ხალხები, კულტურები და ერები. სწორედ ამიტომ ჩვენ ვბრუნდებით ევროპაში იმ ქვეყნიდან, რომელსაც ოჯახად მივიჩნევთ,“ — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო იპოვის საკუთარ ადგილს ევროპულ ოჯახში და „ამ გზაზე ქართველების მოძრაობა დღეს ათენიდან იწყება“.

სამეცნიერო კონფერენციას — „საქართველო — ევროპიდან ევროპამდე“ ქართველი და ბერძენი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ათენის კაპოდისტრიას სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი მელეტიოს-ათანასიოს დიმოპულოსი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლევან გიგინეიშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია შარვაშიძე.

„ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ **და საქართველოში სამდღიანი სახელმწიფო ვიზიტით მყოფ ლატვიის პრეზიდენტის რაიმონდს ვეიონისის შეხვედრა პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.**

შეხვედრაზე საქართველოს და ლატვიის პრეზიდენტებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების საკითხზე ისაუბრეს და აღნიშნეს შეხვედრის განსაკუთრებულობა, რადგან ვიზიტი საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმის მოხსნას ემთხვევა.

„სიმბოლურია, რომ პრეზიდენტ ვეიონისის ვიზიტი ამ დღეს დაემთხვა. ლატვიამ დიდი წვლილი შეიტანა ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

ჩვენი ქვეყნები სტრატეგიული პარტნიორები არიან და ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ თქვენს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და შემდგომი გაძლიერების მიმართულებით“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საერთაშორისო პარტნიორების მაღალი მხარდაჭერის მნიშვნელობას, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით.

საქართველოს პრეზიდენტმა ლიტველ კოლეგას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის გახშირებულ ფაქტებზე. მხარეებმა ბრიუსელში დაგეგმილი NATO-ს სამიტის და ამ სამიტზე საქართველოს ინტერესების წარმოჩენის საკითხების გარშემო ისაუბრეს.

საქართველოს დელეგაციამ შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობაზე, „აბრეშუმის გზასა“ და ტრანსრეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებაზე. საუბარი ასევე შეეხო შავი და ბალტიის ზღვების რეგიონებს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერების საკითხს. ხაზი გაესვა ტურიზმის მაჩვენებლის ყოველწლიურად მატების ტენდენციებს. ქართულმა მხარემ გამოთქვა ლატვიელი ინვესტორების და მეწარმეების საქართველოში მიზიდვის ინტერესი. მხარეებმა ისაუბრეს ასევე განათლების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ: ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲮᲓᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲨᲠᲝᲛᲐᲢᲔᲕᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს მოსახლეობას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედება მიულოცა:

„ჩვენმა ხალხმა უკვე მრავალჯერ დაადასტურა თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების ერთგულება და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საერთო ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. საქართველო კიდევ უფრო ევროპული ქვეყანა გახდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ხალხის ერთსულოვნების, შრომისა და მოთმინების შედეგია.

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით, თანმიმდევრული, მიზანმიმართული და ქმედითი პოლიტიკით შესაძლებელი გახდა ამ პრაქტიკული და სიმბოლური შედეგის მიღწევა. წლების განმავლობაში პარლამენტში იქმნებოდა ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზა, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ფუნდამენტია. გულწრფელ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ შრომატევად საქმეში და იმედს გამოვთქვამ, რომ ასეთივე შემართებით განვაგრძობთ სვლას ევროკავშირში სრული ინტეგრაციისკენ.

ევროპასთან თავისუფალი მიმოსვლა თითოეული მოქალაქის არა მარტო პრივილეგია, არამედ პასუხისმგებლობაცაა. ჩვენი მოქალაქეები ჩვენი კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების ელჩები უნდა გახდნენ ევროპაში. ყველამ ერთად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ევროკავშირთან დაახლოება უზრუნველყოფს არა მარტო ჩვენი, არამედ მომავალი თაობების თავისუფლებას.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირი აღნიშნავს დაფუძნების 60 წლისთავს — მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის მშენებლობის 60 წელს. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ოცნებას და მისწრაფებას — მეტი ძალისხმევით ვიზრუნოთ თანამედროვე ევროპის დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის და წავახალისოთ ადამიანების ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ჯანსაღი გარემო, შრომის ღირსეული პირობები და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართველ ხალხს თავისუფალ ევროპასთან თავისუფალ მიმოსვლას და ვუსურვებ ერთსულოვნებას ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე“! — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის ორი წევრი ჩამოვიდა. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, მთავრობის წარმომადგენლებთან, საპარლამენტო ფრაქციებთან, ასევე სხვადასხვა თემებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორთან.**

განხილვის მთავარი თემები საკონსტიტუციო ცვლილებები, სასამართლო რეფორმა, ე.წ. მოსმენების კანონი, მედია და მესხების რეპატრიაცია იქნება. ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში ევროსაბჭოს დელეგაციის წევრები მთავარ პროკურორსა და სახალხო დამცველსაც შეხვდებიან.

იოჰანეს ჰანი: „ისიამოვნეთ ევროპით“

საქართველოს უვიზო რეჟიმის ამოქმედებას სოციალურ ქსელში ულოცავს ევროკომისარი სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანი.

„გულწრფელად ვულოცავ საქართველოსა და მის მოქალაქეებს უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობას, რომელიც ძალაში დღეიდან შედის. ისიამოვნეთ ევროპით!“ — წერს ევროკომისარი „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

დღეიდან საქართველოს მოქალაქეები ევროპაში მოგზაურობას ვიზის გარეშე შეძლებენ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, **დოკუმენტის სარგებელი საქართველოს ტერიტორიაზე მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში ვრცელდება, ანუ ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა ოკუპირებულ რეგიონებში — აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასაც ექნება, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის მფლობელები იქნებიან.**

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტით უვიზოდ გამგზავრება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ფლობს ბიომეტრიულ პასპორტს. მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს (გადაბმულად ან დღეების გადანაწილებით) ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში. მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეებმა გაითვალისწინონ, რომ **უვიზო მიმოსვლის რეჟიმი არ შეეხება ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გრძელვადიან ვიზიტებს. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ყოფნის 90 დღის (180 დღის განმავლობაში) ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ტერიტორია.**

საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან დაიცვან ადგილსამყოფელ ქვეყანაში შესვლისა და ყოფნის წესები, აგრეთვე, იმ ქვეყანაში მოქმედი სხვა კანონმდებლობა. 90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად. ასეთი პირი გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით; ამასთან, შესაძლოა, დაეკისროს ჯარიმა 3 000 ევრომდე ოდენობით.

ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რის შემდეგაც გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით.

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მუშაობა სამუშაო ნებართვის გარეშე ითვლება არალეგალურად, რასაც, ასევე, შესაძლოა, მოჰყვეს ქვეყნიდან გაძევება და ქვეყანაში შესვლის აკრძალვა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ უვიზო მიმოსვლის პირობებში ნებისმიერი მოქალაქე გაივლის სასაზღვრო კონტროლს და საბოლოო გადაწყვეტილება შენგენის წევრ ქვეყანაში შესვლის თაობაზე მიღებულ იქნება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს მოქალაქეებმა თან იქონიონ ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მათი მოგზაურობის მიზნის დასადასტურებლად გამოდგება.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებს უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი, რომლის ამოქმედება დღის წესრიგში დადგება შემდეგ შემთხვევებში: შესაბამისი მესამე ქვეყნიდან 1) შენგენის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი პირების რაოდენობისა და შენგენის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის თქმის შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა; 2) თავშესაფრის მოთხოვნის განცხადებების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა; 3) რეადმისიის (მიგრანტების უკან დაბრუნება) შეთანხმების არასათანადო შესრულება — რეადმისიის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა; 4) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივი და შიდა უსაფრთხოების კუთხით შექმნილი საფრთხე, რომელიც უკავშირდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს.

ევროპარლამენტარები:

„ევროპა უკვე აღარ არის ქართველებისთვის აბსტრაქცია“

ევროპელი პოლიტიკოსები საქართველოს უვიზო რეჟიმის დამყარებას ულოცავენ.

ევროპარლამენტის დეპუტატების აზრით, ქართველმა ხალხმა ეს დაიმსახურა.

„ეს დიდი ხნის წინაც უნდა ყოფილიყო ასე. მნიშვნელოვანი ნიშანია ქართველი ხალხისთვის, რომ არ უნდა დანებდნენ და ყოველთვის იბრძოლონ ევროპული ღირებულებებისთვის, ევროპული მისწრაფებებისთვის, რომ ჰქონდეთ კარგი მმართველობა, დაიცვან კანონის უზენაესობა. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დროს, როდესაც საქართველოც და ევროკავშირიც არადემოკრატიული ქვეყნის — რუსეთის მხრიდან არსებული გამოწვევის წინაშე დგანან,“ — განაცხადა ევროპარლამენტის წევრმა **ანა გომეშმა**.

ევროდეპუტატი პეტრას აუსტრევიჩიუსი ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი საქართველოსთვის იქნება სტიმული, რათა კიდევ უფრო დიდი ძალისხმევით იაროს ევროპისკენ. **„ევროკავშირმა იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ ის არის დემოკრატიული და გახსნილი ორგანიზაცია, რომელიც მიესალმება ასეთივე იდეის მქონე ქვეყნის მოქალაქეებს. ევროპა უკვე აღარ არის ქართველებისთვის აბსტრაქცია. მათ შეუძლიათ ჩამოვიდნენ და საკუთარი თვალით ნახონ როგორია ევროპა. ვიცი, რომ ქართველები ამბიციური ხალხია და უფრო მეტის მიღწევა სურთ. მოვუწოდებ, რომ იბრძოლონ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, ისევე როგორც ამას ნატოსთან მიმართებით აკეთებენ და ეს სავსებით ლეგიტიმურია,“** — განაცხადა ევროპარლამენტის წევრმა პეტრას აუსტრევიჩუსმა.

ვიზალიბერალიზაციაზე კომენტარი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბელგიასა და ლუქსემბურგში ნატალია საბანაძემაც გააკეთა. საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროკავშირში აცხადებს, რომ საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა. **„ეს იყო საკმაოდ სერიოზული გზავნილი, დაფასება და მხარდაჭერა საქართველოს მიმართ,“** — განაცხადა ნატალია საბანაძემ.

უვიზოდ 30 ქვეყანაში

შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით სარგებლობა ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეებს 180 დღის განმავლობაში მაქსიმალური, 90 დღის ვადით შეუძლიათ.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი — ასევე არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია — და კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია; გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, რომლებთანაც სავიზო რეჟიმი შენარჩუნდება.

უვიზო რეჟიმის წესების დამრღვევებს 5-წლიან დეპორტაციასთან ერთად, 3 000 ევრის ოდენობის ჯარიმაც დაეკისრებათ

საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით, ჯარიმა ეკისრებათ იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა ვადები, თუ მოხდება უვიზო რეჟიმის გამოყენება იმისთვის, რისთვისაც დანიშნული არ არის.

„თუ დაირღვევა ვადები და მოხდება დეპორტაცია, ამ შემთხვევაში პირს აეკრძალება 5 წლის ვადით შენგენის ზონაში დაბრუნება. ეს საკმაოდ დიდი სასჯელია როგორც ფინანსური, ასევე იმ თვალსაზრისით, რომ ვერ დაბრუნდები ევროკავშირში და შენგენის ზონაში“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

რაო, რამდენს იღებენ ევროპელები?

ყოველ მომდევნო თვეში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური — საქსტატი — საზოგადოებრივი ყოფისა და ეროვნული ეკონომიკის, ასევე საბანკო, **კიდევ სხვა სფეროს შესახებ საკმაოდ ბევრ ოპერატიულ მონაცემს აქვეყნებს, რომელიც წინა თვეში არსებულ ვითარებას ასახავს.**

იმავეს აკეთებს ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურიც — ევროსტატი — რომელმაც ახლახან ამ გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებში მინიმალური ყოველთვიური ხელფასების თაობაზე მონაცემები გამოაქვეყნა. იმის გათვალისწინებით, ჩვენი მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის რეჟიმი ამოქმედდა და ევროკავშირის ქვეყნებს ახლა უკვე გაცილებით მეტი ჩვენი თანამემამულე ესტუმრება. ამ მონაცემთა გაცნობა, ვფიქრობთ, მათთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

2017 წლის 1 იანვრისთვის მინიმალური ოფიციალური ხელფასი ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნიდან 22-ში იყო დადგენილი. გამონაკლისს **იტალია, ავსტრია, დანია, ფინეთი, შვედეთი** და **კვიპროსი** წარმოადგენენ, სადაც ასეთი ზღუდე სახელმწიფო დონეზე დადგენილი არ არის.

დარჩენილი 22 ქვეყანა, პირობითად, სამ — სამხრეთულ, ჩრდილოურ და აღმოსავლურ — ჯგუფებად დაყვეს. ევროკავშირის აღმოსავლეთის ქვეყნებში ყოველთვიურმა მინიმალურმა ხელფასმა 500 ევრო შეადგინა. მათ შორის, **ბულგარეთში** მინიმალური ხელფასია 250 ევრო, **რუმინეთში** — 275 ევრო, **ლატვიალიტვაში** — 380 ევრო, **ჩეხეთში** — 407 ევრო, **უნგრეთში** — 412 ევრო, **ხორვატეთში** — 435 ევრო, **სლოვაკეთში** — 435 ევრო, **პოლონეთში** — 453 ევრო და **ესტონეთში** — 470 ევრო.

ევროკავშირის სამხრეთ ნაწილში მდებარე ხუთ ქვეყანაში, ყოველთვიური მინიმალური ხელფასი 500-დან ათას ევრომდე მერყეობს. კერძოდ, **პორტუგალიაში** ის 600 ევროს შეადგენს, **საბერძნეთში** — 684 ევროს, **მალტაში** — 736 ევროს, **სლოვენიაში** — 805 ევროს, ხოლო **ესპანეთში** — 826 ევროს.

ყველაზე მაღალი ყოველთვიური მინიმალური ხელფასები ევროკავშირის ჩრდილოეთის ქვეყნებშია დადგენილი, სადაც ისინი ათას ევროს აღემატება. სადღეისოდ ჯერ კიდევ ევროკავშირის წევრ **დიდ ბრიტანეთში** ეს მაჩვენებელი 1397 ევროს ტოლია, **საფრანგეთში** — 1480 ევროსი, **გერმანიაში** — 1495 ევროსი, ბელგიაში — 1532 ევროსი, **ნიდერლანდში** — 1552 ევროსი, **ლუქსემბურგში** — 1558 ევროსი და **ირლანდიაში** — 1563 ევროსი.

აღსანიშნავია, რომ **ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასი ცხრაჯერ აღემატება ყველაზე დაბალს,** ხოლო თუკი სხვადასხვა ქვეყანაში ფასების სხვაობას არ გავითვალისწინებთ, ეს შეფარდება 1:3-თან იქნება.

ბოლო თითქმის ათი წლის მანძილზე ყოველთვიური მინიმალური ხელფასი ყველაზე მეტად გაიზარდა ბულგარეთში — 109 პროცენტით, რუმინეთში — 99 პროცენტით, სლოვაკეთში — 80 პროცენტით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის, ფაქტობრივად, გაორმაგდა. შედარებით ნაკლებად გაიზარდა ეს მაჩვენებელი ბალტიისპირა ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში — შესაბამისად 69,65 და 64 პროცენტით, ხოლო ერთადერთი ქვეყანა, სადაც აღნიშნულ პერიოდში მინიმალური ხელფასი შემცირდა — 14 პროცენტით — ესაა საბერძნეთი.

ნინო ალექსანდრია

„ოცნება“ უმუშევრობის კომპენსაციის შემოღებაზე ფიქრობს

საქართველოში უმუშევრობის კომპენსაციის შემოღებაზე უკვე სერიოზულად მიდის მსჯელობა. მართალია, საბოლოო შეთანხმებამდე ჯერ შორია, მაგრამ, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში გადაწყვეტილება მიღებული იქნება. ორიოდე დღის წინათ საქართველოს გაერთიანებულმა პროფკავშირმა მთავრობას ინიციატივით მიმართა, რომ პირებს, რომლებიც არ მუშაობენ, ექვსი თვის განმავლობაში, პენსიის ოდენობის თანხა გადაუხადონ. როგორც პროფკავშირების ხელმძღვანელმა ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, სამმხრივ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ინიციატივას განიხილავს, შედის როგორც ჯანდაცვის სამინისტრო, ასევე პროფკავშირები და დამსაქმებლების ორგანიზაცია.

— ინიციატივა ითვალისწინებს კომპენსაციას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კარგავენ სამსახურს და ვერ პოულობენ. ესაა უმუშევრობის შემწეობა. ასეთი ადამიანებისთვის უნდა იყოს მინიმალური პენსიის ოდენობის ანაზღაურება 6 თვის განმავლობაში. ეს თანხა შეადგენს 180 ლარს, — აღნიშნა პეტრიაშვილმა. მისივე განმარტებით, შემწეობის გაცემა იმ მოქალაქეებზე იგეგმება, რომლებიც სამსახურს ეძებენ, თუმცა ვერ პოულობენ და არა ყველა უმუშევარ პირზე.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო გარკვეულწილად ეთანხმება პროფკავშირების მოსაზრებას, მაგრამ საკითხს უფრო გლობალურად იხილავს. მისი თქმით, ქვეყანაში უნდა იქნეს მიღებული უმუშევრობის კომპენსაციის ისეთი სქემა, რომელიც იქნება ოპტიმალური და რეალური. ჯანდაცვის მინისტრი ადასტურებს, რომ სამინისტროში პროფკავშირებთან უმუშევრობის კომპენსაციაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

— ესაა კომპლექსური საკითხი, რომელზეც მსჯელობა და კონსულტაცია უნდა გაგრძელდეს. ეს არ არის ჯადოსნური გასაღები. სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა გამოცდილება აქვს ამ მხრივ. ამაზე მუშაობა და მსჯელობა სამინისტროში სულ მიმდინარეობს. ვფიქრობ, უმუშევრობის კომპენსაცია მიზნობრივი სოციალური დახმარების რეფორმის ერთ-ერთი ნაწილი გახდება, როდესაც ახალგაზრდა, ფიზიკურად ჯანსაღ ჩვენს მოქალაქეებს აქტიურად დავეხმარებით დასაქმებაში, მაგრამ თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ არ ისურვეს მრავალჯერადი შეთავაზების შემდეგ, ალბათ, სოციალური დახმარება მილევადი იქნება. ეს მრავალი ქვეყნის პრაქტიკაა. ამაზე ჩვენ ვმუშაობთ და საბოლოო სახე ჯერ არ გვაქვს, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

„საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში ოფიციალური უმუშევრობის მაჩვენებელი 12%-ია (241 ათასი ადამიანი), რაც გასული 10 წლის მინიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს. თუმცა ასეთი დაბალი უმუშევრობის მიზეზი ის მეთოდოლოგიაა, რომლითაც უმუშევრობის მაჩვენებელი გამოითვლება.

„საქსტატის“ მეთოდოლოგიით დასაქმებულად ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქე, რომელიც საანგარიშო პერიოდში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დროებით არ მუშაობს. თვითდასაქმებულად კი ითვლება მესაკუთრე, რომელიც მოგების ან ოჯახის რჩენის მიზნით (ფულით ან ნატურით) მუშაობს. ასევე თვითდასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც ოჯახურ საწარმოში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (უსასყიდლოდ) მუშაობს.

თვითდასაქმებულთა აბსოლუტური ნაწილი, ანუ დაახლოებით ერთი მილიონი ეკონომიკურად აქტიური მოქალაქე, სოფლის მეურნეობაში არის დასაქმებული. მათი შემოსავლები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მინიმალურია და ისინი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9.9%-ს ქმნიან. თვითდასაქმებულების გარკვეული ნაწილი უსასყიდლოდ ან ნატურისთვის მუშაობს, ამავდროულად, ისინი თავს დასაქმებულად არ თვლიან. პირველად უმუშევრობის კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება დიდ ბრიტანეთში მიიღეს 1911 წელს. მას შემდეგ ასეთი მოდელი ბევრმა ქვეყანამ გადმოიღო. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, თურქეთში სამსახურის დაკარგვის შემდეგ სახელმწიფო მოქალაქეს 180-დან 300 დღემდე ეხმარება, ისიც გარკვეული პირობებით — პირი ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ მცირე, 600 დღე მაინც უნდა იყოს ნამუშევარი. სამუშაო საკუთარი ნებით არ უნდა დატოვონ და რაიმე გადაცდომის გამო არ უნდა გაათავისუფლონ.

რუსეთში უმუშევრობის დახმარება საკმაოდ მცირეა — 850 რუბლიდან იწყება (36 ლარი) და მაქსიმუმ 4,900 რუბლს აღწევს (210 ლარი). კომპენსაცია აქაც დამოკიდებულია პირის სამუშაო გამოცდილებასა და ანაზღაურებაზე.

აზერბაიჯანში ამ დროისთვის მთავრობა, უმუშევართა კომპენსაციის გაუქმებას განიხილავს. კანონის მიხედვით, აზერბაიჯანში ხელფასის დაზღვევა შემოვა, სადაც კომპენსაციის თანხის ნახევარს დამქირავებელი, ნახევარს კი თავად დასაქმებული გადაიხდის. თუ დასაქმებულის სამუშაო გამოცდილება 10 წელზე მეტია, ის კომპენსაციას 12 თვე მიიღებს, ხოლო მინიმალურ კომპენსაციას მიიღებს ის უმუშევარი, რომელსაც სამუშაო გამოცდილება 3 წელზე ნაკლები ექნება.

სომხეთში უმუშევართა კომპენსაცია 2012 წელს გააუქმეს.

ბექა დანელია

სარედაქციო ფოსტიდან

მომისმინეთ დაჩაგრულს!..

ღია წერილი შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი მღებრიშვილს

ბატონო მინისტრო, ვუყურებ და ვუსმენ ინგა გრიგოლიას 24 მარტის „რეაქციას“ და გული მტკივა, რომ ასეთ მძიმე ყაყანში მიდის იმის მტკიცება, იმატა თუ არა კრიმინალმა საქართველოში.

პარადოქსია — ის გულწრფელი ახალგაზრდები, რომლებიც თავის დროზე თვითონ იყვნენ მსხვერპლი ხელისუფლების მხრიდან უკანონო ქმედებებისა, დღეს თვითონ ვერ იცავენ კანონს. მე ნამდვილად არ მჭირდება შორს წასვლა მაგალითის მოსახმობად, თვითონ ვარ მსხვერპლი მცირე თაღლითობისა, რომელიც პოლიციის ძალისხმევით გადაკვალიფიცირდა კრიმინალურ ქმედებად.

ფაქტი: დამათაღლითა დამლაგებელმა, რომელიც გამოვიყვანე კათარზისიდან და თავისთავად ეს შემთხვევა ადვილად მოსაგვარებელი იყო, მაგრამ მოხდა საოცრება, პოლიციამ გაამართლა თაღლითი და ლამის მე დამადანაშაულა იმაში, რომ თაღლითმა ჯერ წინსწრებით სამი თვის პენსია მომახსნევინა ბანკიდან და ერთი თვის მუშაობის შემდეგ გამექცა რაღაც უზნეო ბრალდებით. ეს დამლაგებელი გახლავთ ნანა ზამბახიძე.

დღეს ვერავინ დამარწმუნებს, რომ პოლიციელმა რუსლან მგელაძემ პატიოსნად აწარმოა მოკვლევა, ამ ვაიპოლიციელმა რაღაც საზღაურის საფასურად გააყალბა მოვლენა (ბუნებრივია, ლამაზი თვალების გამო დამნაშავეს არავინ გაამართლებს). მერე თქვენ მიიღეთ მე-5 პოლიციიდან არასწორი ინფორმაცია, რაც, როგორც ჩანს, თქვენც გაწყობდათ და ვერა და ვერ მივაღწიე სიმართლის დადგენას. თქვენმა ასეთმა ქმედებამ ჩემში გააჩინა დამატებითი კითხვები უკვე კათარზისის სახლის დედის მიმართაც. არადა, თვითონ ეს დაწესებულება უაღრესად ღირსეულად ახორციელებს იმ საქველმოქმედო ფუნქციას, რომელიც ასე საშურად სჭირდება დღეს აგრერიგად დაბეჩავებულ ქვეყანას....

არავითარი ვაჟკაცობა და სახელმწიფოებრივი ხედვა არ არის მტერთან იკოჰაბიტაციო და მოყვარე მტრად აქციო, ეს რიგითი კრიმინალია.

დაფიქრდით, ნეგატივს ძალით ვერ გაპოზიტივებთ. უღირს პოლიციელს უნდა ვამხელდეთ და არა ვაქებებდეთ. ამგვარი ქმედება იწვევს დაუსჯელობის სინდრომს. ყველა საკითხის, მათ შორის დანაშაულის პრევენცია ბევრად ადვილია, ვიდრე მისი სინდრომის განკურნება. შეხედეთ რეალობას თვალებში.

არ შემიძლია, არ ვისარგებლო შემთხვევით და არ შეგახსენოთ კიდევ ერთი ჩემს თავს გადამხდარი ამბავი და სამართალდამცავების მიერ დანაშაულებრივად მიფუჩჩებული.

დამატერორა ჩემმა მეზობელმა, ტიტულოვანმა იურისტმა, არ მოვერიდები გამოთქმას, არამზადა ზაზა რუხაძემ (მაგებინეთ პასუხი ჩინოვნიკის უღირსად მოხსენიებისთვის!), რომელმაც ჩემს სამეზობლოდ ბინის შეძენის შემდეგ აბსოლუტურად ჩემი ძალისხმევით მიიღო საერთო სარგებლობის სხვენში ასასვლელი კიბის ფართობი — 10მ² საკუთრებაში და მერე, როცა მან ეს არ იკმარა და უზნეო ტყუილებით და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით გამოიწვია მეზობლების უკმაყოფილება (პარადოქსი, შემდეგ ეს მეზობლები გადაიბირა და ჩემს წინააღმდეგ განაწყო), რის გამოც მე მას გამოვუცხადე უნდობლობა და მოვითხოვე მისგან იმ მცირე დანაპირების შესრულება, რაზეც უარი განაცხადა, ამის გამო გადამეკიდა და გამოიყენა რა იმ დროს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტად ყოფნა, აბსოლუტური ყალბის მქმნელობით შემოიჭრა სასამართლოს ყალბი გადაწყვეტილებით ჩემს სამზარეულოში (რომელიც მე ბევრად ადრე მეზობლების თანხმობით მქონდა დასაკუთრებული) 4მ²-ის უფლებით და დღეს, როცა ყველას, ჩემ შემდეგ მოსულებს, მათ შორის, რუხაძესაც, კანონით თუ უკანონოდ, ყველაფერი საკუთრებაში აქვთ მოქცეული, მე კი ყველაფერი საერთო, ის სამზარეულოც კი, რომელიც რუხაძის გადმოსვლამდე, 5 წლით ადრე მქონდა საკუთებაში, დღესაც დაუმტკიცებელი მაქვს, ბევრი ვცადე მშვიდობიანად მომეგვარებინა საკითხი, მაგრამ არამზადა რუხაძე მეძახის „უღირს მამას“ და ამ მიზეზით არ გამოდის დიალოგზე.

მე რუხაძესთან მიმართებაში ყოველთვის ვაცხადებ, მომკითხეთ ყველა საჭირო მამხილებელი დოკუმენტი და თუ ვერ წარმოგიდგენთ, მაგებინეთ პასუხი ჩინოვნიკის ღირსებისა და პატივის შელახვისათვის, მაგრამ თქვენ ამას არ გააკეთებთ, გეშინიათ, რომ მე სრულად შემიძლია წარმოგიდგინოთ მამხილებელი დოკუმენტები. ისე, კაცმა რომ თქვას, საჭირო დოკუმენტები მე წარდგენილი მაქვს პროკურატურაში ადეიშვილის დროს და მის შემდეგაც.

ამ საკითხის რეალურად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მე არ ვთხოულობ ამ არამზადა რუხაძის დასჯას, მე მოვითხოვ სამართლიანობის აღდგენას და ჩემი ზიანის ანაზღაურებას.

უდიდესი ნიჭი და უმაღლესი საშემსრულებლო ხელოვნება უნდა, რომ მტერთან იკოჰაბიტაციო და მოყვარე მტრად აქციო და შემდეგ საკუთარი თავის პოლიტიკურად დაკრძალვის მოწმე გახდე. დღეს ნაცების ასეთი ზეობის პირობებში აღარ არის გამორიცხული მსგავსი შედეგი.

დაფიქრდით — ახალგაზრდა კი ბრძანებით, მაგრამ არც ისე, რომ არ მოგეკითხოთ რეალურად მოსალოდნელი შედეგის გაანალიზება.

როგორ ჰგავხართ თქვენ და ჩვენი ფეხგურთელები ერთმანეთს — მოგებულ თამაშს სასტიკად და დიდი ანგარიშით აგებთ.

ქართლოს ზაქარეიშვილი

ვაკის გამგეობა ბინათმესაკუთრეებს აფინანსებს

ვაკის რაიონის გამგეობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან თანამშრომლობას და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროექტების დაფინანსებას განაგრძობს. ამ დროისთვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, რაიონის მასშტაბით კიდევ 63 განსახორციელებელი პროექტი დაფინანსდა. კერძოდ: 23 ლიფტის განახლება, წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაცია — 12 მისამართზე, 7 სახურავის შეკეთება, 7 საერთო სარგებლობის კიბის განახლება, 2 სენსორული განათების დამონტაჟება, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია — 6 მისამართზე, 2 საცხოვრებელი სახლის გამაგრება და 3 მისამართზე წყალსაწრეტი მილების დამონტაჟება. მიმდინარე სამუშაოების გარდა, წელს კიდევ 41 თანადაფინანსებული პროექტი განხორციელდა.





შალვა ოგბაიძე:
თბილისში არსებული ავტოსკოლები აბსოლუტურად უკონტროლოა!

თბილისის საკრებულოს დეპუტატმა შალვა ოგბაიძემ „რეპორტიორთან“ მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის წესის შეცვლაზე ისაუბრა. ოგბაიძე მიიჩნევს, რომ ბოლო დროს გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ საქართველო ევროპულ სტანდარტზე გადავა, რისთვისაც აუცილებელია გამკაცრდეს ზომები, გაჩნდეს მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორები, რომლებიც მომავალ მძღოლებს როგორც პრაქტიკულ უნარებს ასწავლიან, ასევე თეორიულად მოამზადებენ, რათა ქუჩაში მოძრაობა უსაფრთხო გახდეს.

— რა ცვლილებებია საჭირო მართვის მოწმობის გამოცდის წესის ჩაბარებაში, რომ თავიდან ავიცილოთ ავტოსაგზაო შემთხვევები?

— ნებისმიერი სპეციალობის გამოცდისთვის უნდა არსებობდეს ისეთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომლის გადალახვის შემდეგ არჩეულ სპეციალობასთან თანხვედრა იქნება უსაფრთხო.

ჩვენ წინა ხელისუფლებისგან წილად გვხვდა მართვის მოწმობის გამოცდის არასრულყოფილი პრაქტიკა. ავტომობილის მართვის მოწმობის ასაღებად მძღოლობის პრეტენდენტი გამოცდას აბარებს დახურულ მოედანზე. დაძვრა, გაჩერება, წარმოსახვით გარაჟში შეყენება. სულ რამდენიმე კომპონენტისგან შედგება მართვის მოწმობის გამოცდა. რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს პრეტენდენტი ფლობს მაღალკვალიფიციურ უნარებს, ამისთვის საჭიროა, გამოცდა ჩატარდეს რეალურ პირობებში. შესაბამისად, ეს მოითხოვს მაღალკვალიფიციური პედაგოგ-ინსტრუქტორების აუცილებლობას.

მაგალითად, როგორ შეიძლება, მუსიკის მოყვარულს მივცეთ კონსერვატორიის დიპლომი, თუ მან დაუკრა ერთი მარტივი მელოდია. ეს ხომ აბსურდია. განსხვავება ის არის, რომ ფორტეპიანოზე არასწორად დაკვრის შემთხვევაში შეგიძლია თავიდან დაუკრა, მაგრამ სამწუხაროდ, ქუჩა არ პატიობს შეცდომას და მძღოლის მიერ დაშვებული შეცდომა შეიძლება, ფატალურად დამთავრდეს. სწორედ ამის გამო დღევანდელი მდგომარეობა შესაცვლელია.

— უნდა გაკონტროლდეს თუ არა ავტოსკოლების მუშაობა?

— დღეს თბილისში არსებული ავტოსკოლები აბსოლუტურად უკონტროლოა. აუცილებელია, შეიქმნას თანამედროვე ევროპული ყაიდის ავტოსკოლები. რა თქმა უნდა, აუცილებელია, შემუშავდეს შესაბამისი პროგრამა, რომელშიც უნდა ჩაერთოს განათლების სამინისტრო და განისაზღვროს, გარდა პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა, მძღოლს რა თეორიული ცოდნა უნდა ჰქონდეს.

ნორმალური სწავლება დღეს მხოლოდ რამდენიმე ძველ ტრადიციულ ავტოსკოლაშია, რომლებიც ელოდებიან იმ დროს, რომ ავტოსკოლა სავალდებულო გახდება. მომრავლდა თაღლითი ავტოსკოლები, რომლებიც ჰპირდებიან ორ-სამ დღეში გარანტირებულად მართვის მოწმობის აღებას დაზუთხვის მეთოდით, სთავაზობენ მართვის მოწმობის აღებას და არა იმას, რომ უსაფრთხოდ იარონ გზებზე.

მრავლად არის ავტოსკოლების განცხადებები, მაგალითად, ავტოსკოლა, ექოსკოპია, სტომატოლოგია, ყველაფერი ერთ სივრცეშია. ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ასევე, „ფსიქო გარანტირებულად“, როგორ შეიძლება, „ფსიქო“ ადამიანს ისე მისცე, როცა მისი ჯანმრთელობა შემოწმებული არ არის. ეს იგივეა, რომ დააწერონ „ვყიდით ფსიქოს“.

აუცილებელია, დადგინდეს, აქვს თუ არა ადამიანს იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ავტომობილი, თუ მას მაგალითად მხედველობის პრობლემა აქვს, ეს აუცილებლად შესაბამისი კოდით უნდა აღინიშნოს მართვის მოწმობაში, რაც საქართველოში არ ხდება. ეს სფერო მოითხოვს დარეგულირებას, სახელმწიფოსგან ჩარევას და კალაპოტში მოქცევას.

— მოსალოდნელია თუ არა ჯარიმების გაზრდა?

— ვფიქრობ, რომ ჯარიმები უნდა იყოს გონივრული, მაგრამ ჯარიმის გაზრდაზე მნიშვნელოვანი ამ ახალ მოსალოდნელ ცვლილებაში, რომელსაც საშველი აღარ დაადგა, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც საჯარიმო ქულების დარიცხვის მეთოდი ჰქვია.

დღეს ფულიან მძღოლს რამდენ ჯარიმასაც გამოუწერ, იმდენ ჯარიმას გადაიხდის. წინა წელს იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ მძღოლმა რამდენიმე ათასი გადაიხადა ჯარიმებში და მართვის მოწმობა აიღო. ფაქტობრივად, ფულიანი ადამიანი წესებს არღვევს და, ფაქტობრივად, „ყიდულობს ნარუშილოვკას“. ევროპის ბევრ ქვეყანაში მძღოლს ყოველ ჯარიმაზე ერიცხება საჯარიმო ქულა. ეს საჯარიმო ქულების გარკვეული რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში მძღოლს ეძლევა კრედიტის სახით. თუ ჯარიმა რამდენჯერმე გამეორდა, ქულათა ლიმიტი იწურება და მართვის მოწმობის შეჩერება კი არა, საერთოდ გაუქმება ხდება, ანუ მძღოლს თავიდან მოუწევს მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და დარწმუნებული ვარ, რომ პირველი რამდენიმე ათეული შემთხვევის დროს, როდესაც მართვის მოწმობა გაუუქმდებათ, ადამიანები დაფიქრდებიან, უღირს კი მართვის მოწმობის გარეშე ყოფნა და გამოცდის თავიდან ჩაბარება?

გარდა ამისა, გამკაცრებულია ნასვამობაზე, განმეორებით შემთხვევაზე ბევრი ისეთი სიახლეა, რომლითაც ვუახლოვდებით ევროპულ სისტემას.

ანა ფერაძე

144 დევნილ ოჯახს ზუგდიდში ახალი ბინები გადაეცა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 144 დევნილ ოჯახს ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე, ორ თორმეტსართულიან კორპუსში საცხოვრებელი ბინები გადასცა.

პროცესი დილით საპროტესტო აქციის ფონზე დაიწყო. ეზოში შეიკრიბნენ ის პირები, რომლებმაც ამჯერად ახალი ფართის მისაღებად საჭირო კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილეს და ბინა ვერ მიიღეს.

„ძალიან ცუდ პირობებში ვცხოვრობდით ჩვენ, გაუსაძლის პირობებში. 25 წელია, ამის მოლოდინში ვართ და გამართლდა დღეს. ძალიან ბედნიერები ვართ“, — ამბობს გალელი ლეილა კვარაცხელია.

„ჩვენი კორპუსი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, იყო ავარიული. მე პირადად შვიდ-ნახევარი ქულა მქონდა, მაგრამ რადგან ავარიული იყო შენობა, მთლიანად ჩვიდმეტი ოჯახი გაგვიყვანეს იქიდან“, — გვითხრა სალომე კოკაიამ.

72 ერთოთახიანი, 48 ოროთახიანი და 24 სამოთახიანი ბინა დევნილ ოჯახებზე კენჭისყრის პრინციპით განაწილდა. გათვალისწინებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები და მათ ბინები პირველ სართულებზე გადაეცათ.

ახალ მცხოვრებლებს ბინის გასაღები მინისტრის მოადგილეებმა გრიგოლ გიორგაძემ და გოგი ფაცაციამ გადასცეს.

გრიგოლ გიორგაძის განცხადებით, განსახლების პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანია. მისი თქმით, ბინები მიიღეს დევნილებმა მძიმე საცხოვრებელი პირობების მიხედვით, ქულათა შეფასების სისტემით. გამონაკლისის სახით, ეს სისტემა არ მოქმედებდა მხოლოდ ნგრევად ობიექტებში მცხოვრებ ოჯახებზე:

„ამ კრიტერიუმების გარდა, ჩვენ დავხურეთ შვიდი ნგრევადი ობიექტი, საიდანაც ქულების მიხედვით გავიყვანეთ ოჯახები. ჩვენ არაერთი ნგრევადი ობიექტი დავხურეთ ასეთი პრინციპით და, რა თქმა უნდა, ის ოჯახები, რომლებიც ამ ეტაპზე ვერ მოხვდნენ ახლად აშენებულ კორპუსებში, თქვენ ხედავთ, რომ დამატებით ოთხ 12-სართულიან კორპუსს ვაშენებთ, რომელსაც კომპანია ოქტომბრის თვეში ჩაგვაბარებს. ასე რომ, ყველას ექნება შანსი, ვინც უბინაოა, არის უმძიმეს მდგომარეობაში, ეტაპობრივად დაკმაყოფილდნენ“, — განაცხადა გრიგოლ გიორგაძემ.

მინისტრის მოადგილეებთან ერთად კენჭისყრის პროცედურას დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრებიც დაესწრნენ.

თამარ ზანთარაია

აბა თქვენ იცით პლანაქციებზე, როგორ იმუშავებთ სახელმწიფოს სასარგებლოდ!

ნარკოტიკული **საშუალების შემცველი მცენარის კულტივირებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მსუბუქდება. სისხლის სამართლის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, მცირე ოდენობით კანაფის, მარიხუანის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ჩადენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლდარღვევის გამო ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ,** — ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით 100-დან 160 საათამდე ვადით.

პროექტით, მცენარე კანაფის, მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა — ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით 160-დან 220 საათამდე ვადით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი: — წინაწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, — ისჯება ჯარიმით ან/და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ორას ოცდან სამას საათამდე ვადით.

ამასთანავე, ინიციატივით, **დიდი ოდენობით მცენარე კანაფის, მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა — ისჯება ჯარიმით ან/და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით 300-დან 400 საათამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით, ხოლო ეს ქმედება, ჩადენილი: — წინაწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, — ისჯება ჯარიმით და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ოთხასიდან ხუთას საათამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.**

რაც შეეხება **განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევას, პროექტით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი სანქცია — თავისუფლების აღკვეთა ორიდან ექვს წლამდე ვადით, ხოლო თუ ასეთი დანაშაული ჩადენილია წინაწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის ან იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული — პასუხისმგებლობა იქნება თავისუფლების აღკვეთა, სამიდან შვიდ წლამდე ვადით.**

საცდელი ქარსაფარი ზოლი შირაქის ველზე

გარემოსა **და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი დედოფლისწყაროში იმყოფებოდა, სადაც შირაქის ველზე საცდელი ქარსაფარი ზოლი დაათვალიერა, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით გაშენდა.**

მინისტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგებლებსაც შეხვდა. შეხვედრა პროექტის „მდგრადი მიწათსარგებლობის პრაქტიკის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით ახორციელებს.

შეხვედრაზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაციისა და მათი მდგრადობის შენარჩუნებისთვის საკანონმდებლო რეგულირების სფეროში შემდგომ ნაბიჯებსა და განხორციელებაზე იმსჯელეს.

პროექტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან ერთად ახორციელებს.

სიმღერები კომედი შოუს „ანსამბლისთვის“ – ოთხი უჩა

1. ქუჩლის ქუდი

ყველამ იცის, ვინ ვინც არი,
ვინ რაც არი,
ვის რად დასდევს სისხლიანი წინა დღე,
თვალებში ვინ შეგვაყარა ნაცარი,
ნაც-ბაცნებმა გზები რომ დაგვინაღმეს,
ინტრიგანთა რუპორია
და ხსნის გზად ის უპოვნია,
რომ დარაზმა „რუსთავ-2“
საქართველოს წინააღმდეგ...
ისედაც ბრმა სამართალის
უკუღმართად წარმმართავი
ბაქიბუქობს, იმუქრება
ქვეყნის გადაბუგვითა,
რადგან ცნობა მოვიდა სტრასბურგიდან:
„რუსთავ-ორი“ –
საქართველოს წინააღმდეგ!“
სათაური აზრობრივად სწორია
მაგრამ მსჯავრი რადგან ასაწონია,

თემიდა და ყველა მისი თემიდან,
ალბათ, ხვდება, ინტერესთა თემიდან:
გამოხატვის უფლებათა პროკრუსტემ
და ჩაგრულთა თვითმარქვია დამცველმა,
მონაჩმახი რა მიზნით გაავრცელა?

* * *

გახსოვთ, ქურდი ქურდ კაცს
როდის ეწოდა?
სხვაზე მყვირალს როცა ქუდი ეწვოდა!

2. მართული ქაოსი

– არიქა და შარიქაო! –
„რუსთავ-2“ უხმობს ქაოსს
და არ მალავს:
ყირამალა,
მაგრამ განა საღადავოდ,
სიცრუით და ძალისძალად
სხვის ქონებას როცა დავობს,
ჯიქურ ამბობს: მე მინდაო!
მე მინდაო!
მე მინდაო!

3. ვექტორი

სამშობლოს ლაფი რადგან მიასხა
და ეს ახარებს გვარამიასა,
ჯოჯოხეთშია უკვე ვექტორი
პროკურორ-პროკრუსტ-გენდირექტორის!

4. უმძიმესი მოლოდინი

კვლავ შეგვსანსლავს,
კვლავ ჩაგვბურჯგნის,
სხვა აღარა გველის რა,
თუ ვერ მიხვდა სვლას სტრასბურგი
ცხვრის ქურქმოსილ მგელისას?

5. ნიკასეული ევრიკა

სხვისი ქონების ყარამანიშვილებისეულ „გაჩუქებაზე“

უტიფრად უშვერი
მიხვდა, ვერ უშველის,
ნაძარცვს ვერ უშველის
თავის გონებითა,
თუ არა როქივით,
საოცრად მოქნილი,
ყასიდად ჩუქების
გამოგონებითა!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან.

დავით დვალი, ჯარჯი აქიმიძე:

„ეს არის ნაძარცვის გადანაწილების გაგრძელება“

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ირგვლივ მიმდინარე ახალ პროცესებს, „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე, რომლებსაც ტელეკომპანია 2004 წელს ჩამოართვეს, „ნაძარცვის გადანაწილების გაგრძელებად“ აფასებენ.

„ბოლო პერიოდში ამ პროცესმა განსხვავებული ელფერი შეიძინა. თუკი აქამდე საქმეს ორი ძირითადი პოლუსი ჰქონდა, ერთი მხრივ, „რუსთავი-2“-ის დამფუძნებელი კანონიერი მფლობელებისა და, მეორე მხრივ, მათი მძარცველი „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, ახლა სცენაზე ახალი მოქმედი პირები გამოჩნდნენ“, – ნათქვამია დვალისა და აქიმიძის განცხადებაში.

„იმისათვის, რომ მოვლენების არსს ჩავწვდეთ, ჯერ უნდა გამოვკვეთოთ, რა სურს თითოეულ მხარეს „რუსთავი-2“-თან მიმართებით. ნაციონალური მოძრაობის ორივე ფრთის სურვილი მარტივი გასაგებია: ორივეს სურს შეინარჩუნოს ტელევიზია საკუთარი პარტიული მიზნებისთვის. რა სურს მთავრობას? მთავრობას სურს შეძლებისდაგვარად მართვადი ოპოზიციური ტელევიზია. რა თქმა უნდა, „ოცნებას“ ესმის, რომ ამ სიტუაციაში „რუსთავი-2“-ზე სრული კონტროლის დამყარება გაუჭირდება და, ალბათ, არც იქმნიან ამის ილუზიას. მაგრამ ეს არც არის საჭირო, ვინაიდან „ოცნების“ და ნაცმოძრაობის ინტერესები ნაწილობრივ ემთხვევა. საქმის ძირითადი არსი ისაა, რომ არც ერთ მხარეს არ სურს დამოუკიდებელი და ობიექტური ტელევიზიის არსებობა!“ – ასე ფიქრობენ დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე.

დავით დვალის თქმით, პროკურატურაში, 2012 წლიდან დევს მათი განცხადება, რომ გამოეძიათ, „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებისთვის ჩამორთმევის ფაქტი. მისი აზრით, „სახელმწიფოს მხრიდან 5-წლიანი დუმილი იწვევს ბუნებრივ ეჭვს, რომ “ქართული ოცნების“ მთავრობა დაინტერესებულია პროცესის მაქსიმალურად გაჭიანურებით ან სრულიად შეწყვეტით.“

„ჩვენ პროკურატურაში განცხადება 2012 წლის დეკემბერში შევიტანეთ. ძალიან ინტენსიურად წავიდა და საკმაოდ დიდი მასალა დაგროვდა. დაიკითხა ძალიან ბევრი ხალხი. შემიძლია, გითხრათ, რომ საქმე ბოლო სტადიაშია, პრაქტიკულად, გამოძიებულია.

შემდეგ პროკურატურამ საქმე თაროზე შემოდო და დღემდე, ძიება გაჩერებულია. 5 წელი გადის უკვე. დღეს უკვე შეგვიძლია თქმა, რომ დაინტერესებული იყვნენ, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეში სამონაწილეოდ ჩვენ სამართლებრივი ბერკეტი არ გვქონდა. ვიღაცამ ჩამოგვაქვეითა და ჩვენ პროცესის მონაწილის ნაცვლად, გვაქვს მაყურებლის სტატუსი.“

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული ძმების ლევან და გიორგი ყარამანიშვილების ბოლოდროინდელ სურვილს, რომ „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტი ტელეკომპანიის კოლექტივს გადასცენ, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე დემოკრატიულობის ფასადის შექმნის ცინიკურ და მოჩვენებით მცდელობად მიიჩნევენ.

„აშკარაა, რომ სამიდან მინიმუმ, ორი მხარე, რომელშიც აუცილებლად იგულისხმება „ქართული ოცნება“, ერთმანეთს გაურიგდა ნაქურდალის კიდევ ერთხელ გადანაწილებაზე. ამ გარიგების ჩრდილოვანი ფინანსური მხარის მასშტაბები ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ „რუსთავი-2“-ის მოქმედი დირექტორის მიერ საჯაროდ გაჟღერებული, მისთვის შეთავაზებული 10 მილიონიდან გამომდინარე. ამ გარიგებაში ყველაზე ცინიკური მოჩვენებითი დემოკრატიულობის ფასადის შექმნის მცდელობაა. მართლაცდა, ერთი შეხედვით, დემოკრატიულად გამოიყურება შეთავაზება, რომ წილები თანამშრომლებზე გადანაწილდეს. ამ სვლას, სავარაუდოდ, დაერთვება გარეშე მარეგულირებელი „მიუკერძოებელი“ საბჭოს, ან ბორდის შექმნა, რაც შექმნის სრული დემოკრატიულობის ფასადს. სინამდვილეში გასაგებია, რომ შეუძლებელია ნაქურდალის გადანაწილებით რაიმე დემოკრატიულის მიღება, ამ უკანონოდ ჩამორთმეული წილების მორიგი გადანაწილებით მივიღებთ შემდეგს: ტელევიზიას გააკონტროლებენ მხოლოდ თამაშის წესების მიმართ ლოიალური ადამიანები. ასევე დაკომპლექტდება ბორდი ლოიალური ფსევდოოპოზიციური „ინტელექტუალებით“, ვინაიდან შეუძლებელია საღად მოაზროვნე პატიოსანმა ადამიანმა აიღოს ნაქურდალიდან წილი, ან მონაწილობა მიიღოს ნაქურდალი ტელევიზიისთვის დემოკრატიული ფასადის შექმნაში. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო დიდი მორალური დანაშაულია, ვიდრე თვით ქურდობის ფაქტი.“ – ვკითხულობთ დვალისა და აქიმიძის განცხადებაში, რომელიც ინტერნეტში 25 მარტს გავრცელდა.

ნაპრეზიდენტალ მიხეილ სააკაშვილის ახლო „მეგობრები“, ძმები ლევან და გიორგი ყარამანიშვილები „რუსთავი-2“-ის მეწილეებად 2012 წელს გამოჩნდნენ. იმავე წელს, „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებმა დვალმა და აქიმიძემ პროკურატურას მიმართეს მათთვის ტელევიზიის წართმევის ფაქტი გამოეძიათ.

2015 წელს, „რუსთავი-2“-ის ბრძოლა ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმაც დაიწყო, რომელიც ტელევიზიას 2004-06 წლებში ფლობდა. მან საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიის 100%-ვე 2017 წლის 2 მარტს დაიბრუნა და განაცხადა, რომ 50%-ს დვალსა და აქიმიძეს გადასცემდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მარტის დასაწყისშივე დროებით შეაჩერა.

2017 წლის 23 მარტს ძმებმა ყარამანიშვილებმა, რომელთა წილები (91%) უზენაესმა სასამართლომ ხალვაშს მიაკუთვნა და ამ დრომდე ყადაღა ადევს, „რუსთავი-2“-ის კოლექტივს მიმართეს, ტელევიზიის აქციების 40% გადაცემის სურვილით.

საპასუხოდ, კოლექტივმა „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტი მფლობელი კომპანიის შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ 51% მოითხოვა. წილების მიღების მიზნით, კოლექტივმა ღია თათბირზე 40 თანამშრომელი შეარჩია, მათ მზადყოფნა გამოთქვეს დააფუძნონ ახალი შპს „რუსთავი-2“-ის გუნდი“ და მისი მეშვეობით მართონ, „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი, შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ 51%-ი, თუმცა, ამ შეთავაზებას, ძმებმა ყარამანიშვილებმა უკვე უარით უპასუხეს. მათ განაცხადეს, რომ შუამავალი ფირმა არ სჭირდებათ და ამიერიდან, უშუალოდ კოლექტივთან, ინდივიდუალურ რეჟიმში დაიწყებენ პირდაპირ მოლაპარაკებებს.

ჯერჯერობით, **ბოლომდე ნათელი არ არის როგორ დასრულდება „რუსთავი-2“-ში არსებული მრავალმხრივი დაპირისპირება ძმებ ყარამანიშვილებს, ნიკა გვარამიასა და კოლექტივს შორის, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ჯგუფად არის გაყოფილი. დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ პროცესს „ნაძარცვის გადანაწილების გაგრძელება“, ხოლო ქიბარ ხალვაშის დაცვის მხარემ – „მასკარადი“ უწოდა.**

„Radio Voice of America“ (აშშ)

თბილისის საკრებულოში 13 დეპუტატი მილიონერია?!

ლევან ხაბეიშვილი „სამოქალაქო პლატფორმა-ახალი საქართველო“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორი“ მორიგი კვლევის შედეგებს ასაჯაროებენ. კვლევა ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში საუბარია, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების ქონებრივ დეკლარაციებზე.

„კვლევის პერიოდში შესწავლილი იქნა საკრებულოს 50 დეპუტატის ქონებრივი დეკლარაცია. ირკვევა, რომ დედაქალაქის საკრებულოში 13 მილიონერი დეპუტატია. მილიონერებს შორის პირველ ადგილს იკავებს „ქართული ოცნების“ წევრი თამარ ტალიაშვილი – 3 383 989 18 ლარით, მას მოსდევს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ილია ჯიშკარიანი- 3 349 705 ლარით, „ქართული ოცნების“ წევრი ვლადიმერ ძნელაძე – 2 935 134 ლარი, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან“ ზაზა ვეკუა – 2 510 281 2 ლარი, ასევე „ქართული ოცნებიდან“ ავთანდილ დავითაძე 2 311 337ლარი. მილიონერებს შორის ყველაზე „ღარიბი“ აღმოჩნდა გიორგი ტყემალაძე -946 400 ლარი, რომელიც ასევე „ქართული ოცნების“ წევრია“, – განაცხადა მედიატორის წევრმა ნინო ყურაშვილმა.

კვლევის პერიოდში აღმოჩენილ დარღვევებზე საუბრობს, „ახალი საქართველოს“ ლიდერი ლევან ხაბეიშვილი. „საკრებულოს 50 წევრიდან ქონებრივი დეკლარაცია არა აქვს შევსებული 21 დეპუტატს. მათ შორის 12 „ქართული ოცნების“, 2 „ნაციონალური მოძრაობის“, 2 კი „ევროპული საქართველოს“, წევრია. დეკლარაცია არა აქვს ასევე შევსებული პარტია – „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ 2 და „პატრიოტთა ალიანსის“ 1 წევრს, დამოუკიდებელ დეპუტატებს ალეკო ელისაშვილსა და დავით მანჯავიძეს. თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ დეპუტატს ჯაბა სამუშიას ქონებრივ დეკლარაციაში დღემდე არ აქვს მითითებული საცხოვრებელი ბინა ნუცუბიძეზე. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ჯაბა სამუშია ამ ბინის კანონიერი მესაკუთრეა (ქალაქ თბილისი, ნუცუბიძე, №129 149.72 კვ/მ)“ – განაცხადა ხაბეიშვილმა.„ახალი საქართველოსა“ და „მედიატორის“ ინფორმაციით, კვლევა ეყრდნობა დეპუტატების მიერ შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებს და ქონება შეფასებულია დღევანდელი საბაზრო ღირებულებების მიხედვით, მაქსიმალური ცდომილება შეადგენს 10%-ს.

წერილები მყუდრო სენაკიდან

თემურ ქორიძის ახალი კრებული



„კაცი არ ყველა სწორია“ — ასეთი მრავლისმთქმელი სათაურით გაუერთიანებია **თემურ ქორიძეს** თავისი წერილები, ჩანაწერები და პუბლიცისტიკა („ინტელექტი“), რომლის წარდგინებაც **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** — იმავე ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** — თაოსნობით **ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში** გაიმართა.

უფროს თაობას კარგად ახსოვს ბობოქარი 80-იანი წლების ამბები და ამ ქარტეხილებიან მოვლენებში შეუძლებელია არ გაიელვოს სახემ კაცისა, რომელიც თავისი ცნობილი ორატორული გამოსვლებით ათასების მხურვალე სათქმელს ამბობდა და უანგარო მამულიშვილობის ჭეშმარიტ მაგალითსაც იძლეოდა.

ამ დროსა და მოვლენებს კრებულის წინასიტყვაობაში იხსენებს წიგნის რედაქტორი **ბესიკ გვაზავა** და მისი, როგორც პოლიტიკოსის როლსაც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში; როლს, რომელიც იშვიათი კეთილსინდისიერებით, კეთილგონიერებით, დიდი განათლებითა და მაღალი ზნეობით გამოირჩევა არა მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ საზოგადოებრივ-კულტურულ თუ სულაც ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებაში.

სწორედ ამ თვისებებს ეყრდნობა კრებული, რის გამოც **როსტომ ჩხეიძე** კიდევ ერთხელ დასძენს, რომ თემურ ქორიძის ღრმა განსწავლულობა და აზროვნების დახვეწილობა მარჯვედ მიგნებულ ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს ჩინებულ ლიტერატურულ ფორმას ანიჭებს. საგანგებოდ აღნიშნა, რომ იგი იმ მცირერიცხოვან კრიტიკოსთა შორისაა, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ესეი, კრიტიკული აზროვნების მწვერვალი, ის ელიტური მოვლენა, განსაკუთრებულ ერუდიციასა (არამარტო ლიტერატურულს) და სტილურ არტისტიზმს რომ მოითხოვს.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ შეხვედრაზე **იოსებ ჭუმბურიძემაც** ისაუბრა, ვინც ამ წიგნმა კიდეც ანერვიულა, კიდეც გააოცა, გააკვირვა, აღაფრთოვანა და ავადაც გახადა თავისი მრავალმხრივობითა და მრავალპლანიანობით, ეროვნულ სატკივართა გაშიშვლებით, მოქალაქეობრივი თუ ადამიანური პოზიციით, პოლიტიკური ანალიზითა თუ ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობათა უტყუარი კრიტიკული შეფასებით.

მომხსენებელმა შეხვედრაზე თემურ ქორიძის ორატორულ ნიჭზეც გაამახვილა ყურადღება და მისი მგზნებარე გამოსვლებიც გაიხსენა სალიტერატურო თავყრილობებსა თუ პოლიტიკურ მიტინგებზე. ისაუბრა წიგნის სტრუქტურაზე, კონცეფციასა და ფორმაზეც და ამ მხრივ თავისი შენიშვნებიც გაუზიარა ავტორს. განსაკუთრებულად კი გამოარჩია პოლიტიკურ ფიგურათა პორტრეტები, საინტერესო მონასმებით შექმნილი, მათ შორის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასი. აი, თუნდაც:

„ზვიად გამსახურდია მუდამ გაჭირვებაში მყოფი და „უფროისად ომში“ ჩაგმული მახსენდება. მხიარული და გალაღებული თითქმის არასოდეს მინახავს. მის გამოხედვაში მკაფიოდ გამოსჭვიოდა მარტოსულობა და მიუწვდომელი განდგომილება. მზერა თითქოს საკუთარი სულის სიღრმეში ჰქონდა ჩაბრუნებული და როცა გიცქერდათ, გრძნობდით, რომ მარტოოდენ ფიზიკური თვალი კი არა, მთელი სული და გული თქვენკენ ჰქონდა მოპყრობილი. არასოდეს შემხვედრია მსგავსი ინტენსიური განცდის ადამიანი. სახეზე ბოლომდე შეუცნობელი, მაგრამ არცთუ ძნელად შესამჩნევი ტრაგიზმის ანარეკლი დასთამაშებდა.“

ყველაზე სულისშემძვრელი კი იოსებ ჭუმბურიძისათვის ის შეფასება აღმოჩნდა, ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობით ყველა დროს ერთნაირად რომ მიესადაგება:

„საქართველო დღესაც „საქანელაზე ქანაობს“ და ეს საქანელა „კვლავ უფსკრულზეა აღმართული“. სახრჩობელის შემზარავი ყულფი კი ისევ ავბედითად კიდია ჩვენს თავზე. კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში უკიდურესად დაშრეტილია ჩვენი ეროვნული ენერგია... დღეს საქართველო უკვე აღარ „გაურბის თავის თავს (ცუდს)“ და აღარ სურს „ნახოს თავისი თავი (უკეთესი)“ (გრიგოლ რობაქიძე).

მოკლედ, როგორც იტყვიან, „დაიღალნენ თავგანწირულნი, დაბერდნენ გმირები, დიდებულთა ხელზე კოცნით გაძღნენ მლიქველნი.... და დიდი სიმდიდრე შეიძინეს ანგარების მოყვარულებმა.“

აქედან კი რუტინა, უძრაობა და ჭაობი იწყება.

ასეთ რუტინულ და უძრავ ხანაშიც და ქარტეხილებიან მოვლენებშიც თემურ ქორიძე განსაკუთრებული პოზიციიდან იცავდა სიმართლეს. **ნიკოლოზ სანებლიძის** თქმით, ეს არის პოზიცია, როდესაც ადამიანს ესმის მოწინააღმდეგის. იქნებ ამიტომაც **ნათია მეგრელიშვილმა** ის დრო გაიხსენა, როცა ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, საგანგებოდ დადიოდა მიტინგებზე თემურ ქორიძის საინტერესო და საგულისხმო გამოსვლების მოსასმენად და ბოლო 27 წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკაში არც ეგულება სხვა ისეთი მოღვაწე, რომელიც სწორედ ამგვარი პოზიციიდან გააანალიზებდა მოვლენებს და არასოდეს დააკნინებდა მოწინააღმდეგეს. თუმცა, აი, პოლიტიკოს **კახა კუკავას** შეხვედრაზე ის მიტინგები წამოაგონდა, თემურ ქორიძემ სწორედაც რომ მკვეთრი გამოსვლებით დაამახსოვრა თავი, მწვავე შეძახილებით ერისა და ბერისადმი, და ამ სიმძაფრის გამო დაუფასა პუბლიცისტიკა, რომელიც თავისი არსითაც არ უნდა იყოს მაამებლური, მითუმეტეს დღეს, როცა ყბადაღებული გლობალიზაციის პირობებში ადამიანი სულ უფრო კონფორმისტი ხდება და სიყალბე ასე მძლავრად იკიდებს ფეხს მის არსებაში. მეტიც, სულაც ჩვენ თვალწინ ყალბდება ისტორია, პროპაგანდის მანქანა კი კვლავაც წარმატებულად მუშაობს. თუნდაც 90-იანი წლების ისტორია აგებულია იმ კონცეფციით, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიქტატორი, რომელსაც მოუწყვეს დემოკრატიული რევოლუცია. ამ სიყალბის თავი და თავი კი არის ედუარდ შევარდნაძის მემუარები, თავის დროზე როსტომ ჩხეიძემაც რომ ამხილა ბიოგრაფიულ რომანში „ეკლის გვირგვინი“ და თავისი ადგილიც მიუჩინა, როგორც მოგონებებს, რომლებშიც სიტყვაც არ არის მართალი.

ამ ანალიზს შეეხმიანა თავისი გამოსვლით **მანანა გაბაშვილიც,** ეროვნული მოძრაობისა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი 90-იან წლებში, ვინც კიდევ ერთხელ აღნიშნა ამ წიგნის მნიშვნელობა და დასძინა, რომ ასეთ წიგნებს პრაქტიკულადაც უნდა შევხედოთ, როგორც სამოქმედო პროგრამას.

ამიტომაც იყო, რომ შეხვედრაზე ბატონ თემურს არაერთმა გამომსვლელმა სთხოვა თავისი ზეპირი გამოსვლების გადაქცევა ესეისტურ პროზად, გამოსვლების, რომლებიც ყოველთვის გამოირჩევა თავისი ღრმა, ინტელექტუალური ანალიზით, საინტერესო წიაღსვლებითა და განსაკუთრებული მუხტით.

ეს მუხტი იყო, წლების წინათ 53-ე სკოლის მოსწავლეებიც რომ მოენუსხა და აღტაცებულნი ელოდნენ ამ უცნაური კაცის გაკვეთილებს, მისივე ტერმინით რომ ვთქვათ, ახალი დროის კულტურტრეგერად რომ მოვლენოდა ახალგაზრდებს და რაღაც ახლებური ტალღა, ლიტერატურული ცხოვრების ახალი ნაკადი შემოჰქონდა მათ თვალსაწიერში, ევროპული სურნელით შენელებული, სულ სხვა ფერებად აელვარებული, სრულიად განსხვავებულ, ზოგჯერ აკრძალულ წიაღსა და შრეებსაც რომ ხსნიდა მიმდინარე სამწერლო პროცესებშიც და ახალი თაობის ცნობიერებაშიც. მათ შორის იყო **გიგლა ბარამიძეც,** ვინც ის წლებიც გაიხსენა და სხვადასხვა რაკურსიდანაც შეაფასა თემურ ქორიძის მოღვაწეობა, თავისი პოლიტიკური დევნილობის 9-წლიანი ხანაც მოიგონა — როცა სხვა ქვეყნების გარდა, ჩრდილო კავკასიასაც აფარებდა თავს და აღნიშნა, რომ რასაც თემურ ქორიძე ჯოჰარ დუდაევზე, კავკასიასა და ერთიან იბერიულ-კავკასიურ სამყაროზე საუბრობს, სრულიად სწორი ანალიზია, მისთვის ასეთი ახლობელი და მისაღები:

— აქ ნასახიც არ არის რომანტიკისა, ეს არის რეალობა, ჭეშმარიტი რეალობა, რომელიც საქართველომ ყოველთვის უნდა იცოდეს... ალბათ, სწორედ ამ მართალი სიტყვის გამო ბედისწერამ ის რამდენჯერმე მუხანათის ტყვიებისგანაც იხსნა... და ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან ასეთი მოღვაწე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

წიგნის მნიშვნელობა და იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები შეხვედრაზე სხვა გამომსვლელებმაც შეაფასეს. მათ შორის იყვნენ: **ლევან ბებურიშვილი, ანზორ აბრალავა და ვახტანგ ბახტაძეც,** რომლებმაც თავიანთ მრავალმხრივ საგულისხმო გამოსვლებისას აქტიურად მოუწოდეს ბატონ თემურს ამგვარი მოღვაწეობის გაგრძელებისა და ლიტერატურაში დაბრუნებისაკენ, ამ მძაფრი პუბლიცისტური აქცენტების, სულიერ-ინტელექტუალური განცდებისა თუ ღრმა ფილოსოფიური ანალიზის გაზიარებისაკენ. ასეთი მოწოდებით ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული **ნინო ჩხიკვიშვილის** წერილიც გაიხსენეს შეკრებაზე, თუმცა... ეს კრებულიც და მასში თავმოყრილი საგულისხმო მასალაც, ხელისგულზე რომ დაგვანახვებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეროვნულ სატკივარს ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, იმასაც ცხადყოფს, რომ:

„თემურ ქორიძე ჩვენი ცხოვრების ქრონიკებიდან არც არსად წასულა.

მას არც ლიტერატურა მიუტოვებია.

თავის მყუდრო სენაკში გამოკეტილი ის გაუთავებლად კითხულობს... კითხულობს... და დრო და დრო წერს კიდეც“.

დავით მაღლაფერიძე
„მედიანიუსი“

ქართული ღვინის მწარმოებლები ჩინეთში ახალ კონტრაქტებს აფორმებენ

ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა — The 96th China Food & Drinks Fair გაიმართა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართული ღვინის მწარმოებელი 27 კომპანია მონაწილეობდა.

ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამთა ყველაიძე დაესწრო. მისი თქმით, გამოფენის პირველ დღეს დაფიქსირდა გამოფენის არსებობის მანძილზე ვიზიტორთა რეკორდული რაოდენობა — 250 ათასი ადამიანი.

„გამოფენაზე ქართულმა ღვინომ დიდი მოწონება დაიმსახურა. ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს როგორც უკვე არსებულ პარტნიორებთან, ასევე პოტენციურ იმპორტიორებთან. გამოფენის მიმდინარეობის დროს გაფორმდა ახალი საპარტნიორო ხელშეკრულებები. აღნიშნული გამოფენა ტარდება 1955 წლიდან და მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს გამოფენად ჩინეთში. ის არის საუკეთესო შესაძლებლობა, რომ ქართული ღვინო უფრო ცნობადი და პოპულარული გახდეს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბაზარზე“, — აღნიშნა თამთა ყველაიძემ.

მიმდინარე წლის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების ღვინოები: შპს „ქინძმარაული“, „ბესინი“, „თელავის ღვინის მარანი“, „თბილღვინო“, „თელიანი ველი“, „ქართული ღვინის სახლი“, „ტყუპების ღვინის სახლი“, „შატო მუხრანი“, „შალვინო“, „მეღვინეობა ხარება“, „ტიფლისკი ვინნი პოგრები“, „ვაზიანი კომპანი“, „კახური“, „მარანული“, „სარაჯიშვილი“, „შილდა“, „ბატონო“, „ბაგრატიონი 1882“, „ვაინმენი“, „შუხმანის ღვინოები“, „თიგიშვილის ღვინის კომპანია“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „გურემანი“, „მილდიანი“, „კახური ღვინის მარანი“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ და „GWS“.

ჩენგდუს გამოფენა განსხვავებულია თავისი ფორმატით და ტარდება ორ ეტაპად. პირველი ტარდება სასტუმროს რესტორანში, რომელსაც მხოლოდ კომერციული პირები ესწრებიან: იმპორტიორები, დისტრიბუტორები, სასტუმროებისა და რესტორნების წარმომადგენლები, ხოლო მეორე ეტაპი უკვე საგამოფენო სივრცეში ინაცვლებს.

„სამხრეთ ოსეთის“ რუსეთის შემადგენლობაში შესვლას თვით ცხინვალელი ექსპერტებიც განუხორციელებელ იდეად მიიჩნევენ

რუსულ **გამოცემა „კომერსანტის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ წინასაარჩევნო კამპანია, სადაც 9 აპრილს „პრეზიდენტის არჩევნები“ და „რეფერენდუმი“ უნდა გაიმართოს სახელწოდების შეცვლის თაობაზე („სამხრეთ ოსეთი – ალანეთი“).** პუბლიკაციაში ვრცლად არის საუბარი ცხინვალში მიმდინარე იმ აქციის თაობაზე, რომელიც ექსპრეზიდენტ ედუარდ კოკოითის მხარდამჭერთა მიერაა მოწყობილი (მას კვლავ სურს „რესპუბლიკის მეთაურობა“). აღწერილია ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც „სამხრეთ ოსეთში“ არჩევნებისა და რეფერენდუმის წინ სუფევს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს სტატიიდან:

„სამხრეთ ოსეთი უკვე მესამე ათეული წელია, გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსით ცხოვრობს: მისი დამოუკიდებლობა, რუსეთის გარდა, მხოლოდ სამმა სახელმწიფომ – ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის კუნძულოვანმა სახელმწიფოებმა – ნაურუმ და ტუვალუმ აღიარეს. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ ვენესუელასა და ნიკარაგუაში ელჩებიც კი ჰყავს დანიშნული, მაგრამ ერთგვარი პარადოქსია, რომ ელჩები და საელჩოები, ფულის ეკონომიის მიზნით, ცხინვალში საქმიანობენ“, – აღნიშნავს ავტორი ნატალია კორჩენკოვა, რომელიც მკითხველის ყურადღებას „რესპუბლიკის“ სახელწოდების გადარქმევაზეც მიაპყრობს და წერს, რომ მოქმედი „პრეზიდენტის“ ლეონიდ თიბილოვის გადაწყვეტილებამ სამხრეთ ოსეთისათვის „ალანეთის“ დარქმევაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ოსები თავს ალანეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს მემკვიდრეებად მიიჩნევენ, მაგრამ იმავდროულად ალანებს თავიანთ წინაპრებად ინგუშებიც თვლიან. ვლადიკავკაზი ინგუშების პოზიციას მიუღებლად თვლის. ოსი მეცნიერების აზრით, ალანები ის ოსები არიან, რომლებიც კავკასიის ქედის ორივე მხარეზე – ჩრდილოეთით და სამხრეთით ცხოვრობენ.

ლეონიდ თიბილოვის საბოლოო მიზანს სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა და ორი ოსეთის გაერთიანება წარმოადგენს, თუმცა „კომერსანტის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული ცხინვალელი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში „რესპუბლიკის“ შესვლის საკითხი ამ ეტაპზე განუხორციელებელია: მოსკოვს ამჟამად არ სურს ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი დაძაბულობის კერის შექმნა და არც დასავლეთის სანქციების დამატება. სამხრეთ ოსეთი, პრინციპში, ისედაც თითქმის ყველა რუსული სოციალ-ეკონომიკური სიკეთით სარგებლობს, ამას წინათ კი შეიარაღებული ძალების გაერთიანებაც მოხდა.

პუბლიკაციის დასასრულ მკითხველი ეცნობა იმ გახმაურებული სკანდალების ვრცელ ჩამონათვალს, რომლებიც „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში“ მოხდა 2008 წლის შემდეგ, რუსეთიდან გადმორიცხული საბიუჯეტო თანხების განიავებასთან დაკავშირებით. ასევე გამოქვეყნებულია ქრონიკა სათაურით „როგორ მიდიოდა სამხრეთ ოსეთი 1990 წლიდან დამოუკიდებლობისაკენ“.

„KOMMERSANT“ (რუსეთი)

დანართი №1 (5 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2017 წლის „27 მარტის“
№ 01-3/123 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, წერეთლის შესახვევიN2	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	400 000 m^3/წელიწადში	4 567,00	1114 ლარი (ბე-914ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
2	ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 m^3/წელიწადში	21,00	205 ლარი (ბე-5 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
3	შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ.ხიჭაური	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 000 m^3/წელიწადში	34,25	207 ლარი (ბე-7 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
4	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ.სხალთა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 500 m^3/წელიწადში	17,12	204 ლარი (ბე-4 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
5	შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ.მახალაკიძეები (ჩირუხისწყალი)	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	500 m^3/წელიწადში	5,71	202 ლარი (ბე-2 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
6	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ.დიდაჭარა (სოფ.პაქსაძეები)	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 500 მ3/წელიწადში	17,12	204 ლარი (ბე-4 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
7	ქ.ბათუმი, ადლიის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	5 წელი	100 000 m^3/წელიწადში	1 676,00	600 ლარი (ბე-400ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
8	ქ.ბათუმი, ტაოს ქ.N7	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 090 მ3/წელიწადში	13,00	203 ლარი (ბე-3 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
9	ქ.ქობულეთი, სოფ.ციხისძირი	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	12 960 m^3/წელიწადში	148,00	230 ლარი (ბე-30 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
10	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილიN102	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 650 m^3/წელიწადში	41,67	209 ლარი ბე-9 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)
11	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N9	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო	P	3 წელი	1 800 m^3/წელიწადში	21,00	205 ლარი (ბე-5 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)

ამერიკულ ოჯახს ბავშვისთვის ალაჰის დარქმევა სურს

ჯორჯიელმა ცოლ-ქმარმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ისინი ჯანდაცვის სამინისტროს უჩივიან. უწყებამ ცოლ-ქმარს ახალშობილისთვის სახელად ალაჰის დარქმევის უფლება არ მისცა. არაბულად სიტყვა ალაჰი ღმერთს ნიშნავს.

პეკინი პარიზს პროტესტს უცხადებს

პარიზში ჩინეთის მოქალაქის მკვლელობის გამო ჩინეთმა საფრანგეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხუა ჩუნინმა განაცხადა. გამოცემა პარიზიენის ინფორმაციით, ჩინეთის მოქალაქე თავს პოლიციელს დაესხა და საპასუხო სროლის შედეგად იქნა ლიკვიდირებული. ინციდენტს საფრანგეთის დედაქალაქში მასობრივი არეულობები მოჰყვა. პოლიციამ არეულობის მონაწილე 30-მდე პირი დააკავა.

ირანის ლიდერი რუსეთს ეწვია

ირანის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჰასან როუჰანი ვლადიმერ პუტინს შეხვდება. მხარეები ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხს განიხილავენ. დასავლური სანქციების ფონზე ირანი სწორედ რუსულ ინვესტიციებზე ამყარებს იმედს.

ფხენიანმა სარაკეტო ძრავი გამოსცადა

ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთი სარაკეტო ძრავი გამოსცადა. ამის შესახებ სიენენი პენტაგონის წყაროზე დაყრდნობით იუწყება. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ეს ფხენიანის მიერ მოწყობილი მესამე ექსპერიმენტია. 19 მარტს ჩრდიოლოეთ კორეის ლიდერმა ახალი ტექნოლოგიის სარაკეტო ძრავის გამოცდის შესახებ განაცხადა, რაც, მისი თქმით, ახალი სარაკეტო ინდუსტრიის შექმნას დაუდებს საფუძველს.

სეპარატისტებმა უკრაინული პოზიციები დაბომბეს

აღმოსავლეთ უკრაინაში ვითარება კვლავ დაძაბულია. სოფელ ავდეევკაში სეპარატისტთა იერიშს 3 უკრაინელი სამხედრო ემსხვერპლა, 8 კი დაშავდა. ოფიციალური კიევის მტკიცებით, სეპარატისტებმა უკრაინული პოზიციები გრადებით დაბომბეს. დონბასის დე-

		დანიშნულებით					
12	ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	58 400 m^3/წელიწადში (ორ ჭაბურღილზე)	667,00	335 ლარი ბე-135 ლარი+200 ლარი მოსაკრებელი)

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა)მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ)აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება
	განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ)აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე)ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი)დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 29 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 02 მაისს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 02 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 02 მაისს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

მარკეტინგული კამპანია მსოფლიოს საქართველოთი დაინტერესებს

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ზაფხულის სეზონისთვის 14 მიზნობრივ ბაზარზე აქტიური მარკეტინგული კამპანია დაიწყო, – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ განაცხადა.

პრესკონფერენციას, რომელიც სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა, სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში ჩამოსული Google-ს წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, კომპანია Google-თან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უკვე მეორე წელია, აქტიურად თანამშრომლობს.

მისივე თქმით, ზაფხულის მარკეტინგული კამპანიის მომზადებაში Google აქტიურად იყო ჩართული, მათ შორის დაგეგმვაში, ანალიზსა და ქართველ სპეციალისტებთან კონსულტაციაში. ასევე მათთან ერთად მოხდება განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზიც.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზაფხულის სეზონისთვის 14 მიზნობრივ ბაზარზე აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას იწყებს.

25 მარტიდან 30 ივნისის ჩათვლით ინტერნეტ კამპანია შემდეგ ქვეყნებში განხორციელდება: რუსეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, გერმანია, იტალია, ისრაელი, უკრაინა, პოლონეთი, ბელორუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქეთი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია.

ჩოგოვაძის განცხადებით, აღნიშნულ ბაზრებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის რეკლამირება მოხდება. მათ შორის, საზღვაო და სამთო კურორტების, ბუნების, ღვინის, სამზარეულოს, კულტურის, ინფრასტრუქტურის და სათავგადასავლო ტურიზმის პოპულარიზაცია.

ზაფხულის მარკეტინგული კამპანია ხელს შეუწყობს საქართველოს შესახებ ინტერესის ზრდას, რაც ტურისტების ნაკადზე აისახება.

„2016 წელი რეკორდული მაჩვენებლით დასრულდა და მოგზაურების რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია (6, 350, 825) , ზრდის ტენდენცია 2017 წელსაც გაგრძელდა და პოზიტიური მაჩვენებლები დაფიქსირდა იანვრის (ტურისტები (32,4 %) და თებერვლის (ტურისტები (16,4%) თვეშიც. დარწმუნებული ვართ, რომ ზაფხულიც არანაკლებ წარმატებული გვექნება, ამისთვის კი სამზადისს და აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას უკვე ვიწყებთ“, – განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, ინტერნეტ მარკეტინგული კამპანია შემდეგ პლატფორმებზე განხორციელდება: Facebook, Google, Instagram, Youtube, Vkontakte, Mail.Ru, Yandex, Odnoklassniki.ru.

ინტერნეტ კამპანიის გარდა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინასა და ბელარუსში სატელევიზიო რეკლამასაც განახორციელებს. აღნიშნულ ქვეყნებში ზაფხულის სარეკლამო რგოლი წამყვან სატელევიზიო არხებზე განთავსდება.

ონლაინ კამპანიისთვის 3 498 336 ლარი დაიხარჯება, სატელევიზიო რეკლამისთვის კი 4 091 500 ლარი.

ანი შაიშვილი

ფაქტო ლიდერები კი ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაში უკრაინულ მხარეს ადანაშაულებენ.

იემენში ტერაქტს 11 ადამიანი ემსხვერპლა

11 ადამიანი დაიღუპა იემენში განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად. არიან დაშავებულებიც. თვითმკვლელმა ტერორისტმა დანაღმული მიკროავტობუსი ადმინისტრაციული შენობის სიახლოვეს ააფეთქა. დაღუპულთა შორის სამხედრო მოსამსახურეებიც არიან. რამდენიმე დაშავებულის მდგომარეობა ამ დრომდე კრიტიკულია, რის გამოც მსხვერპლი შესაძლოა, გაიზარდოს.

ლონდონელი ტერორისტი ესტრემისტებთან, სავარაუდოდ, არ თანამშრომლობდა

ჰალიდ მასუდი სავარაუდოდ ისლამურ სახელმწიფოსა და ალ-ქაიდასთან არ თანამშრომლობდა. სკოტლანდ იარდის განმარტებით, ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან ტერორისტის კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არსებობს. მასშტაბური ტერორისტული აქტი მასუდმა ლონდობნის ცენტრში 22 მარტს განახორციელა, რასაც 4 ადამიანი ემსხვერპლა, 40-მდე კი დაშავდა. ტერორისტი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული.

რაც მოსულში ხდება ჰუმანიტარული კატასტროფაა, მაგრამ ქალაქის ტერორისტების ხელში დატოვება არ შეიძლება

„რა თქმა უნდა, ის, რაც მოსულში ხდება ერთმნიშვნელოვნად ჰუმანიტარული კატასტროფაა. მაგალითად, ვისაც სამი წლის წინ სტაბილური ცხოვრება ჰქონდა, დღეს დევნილია და კარვებში ცხოვრობს“, – განაცხადა ერაყის პრეზიდენტმა.

ერაყის პრეზიდენტის თქმით, „ჰუმანიტარული სიტუაცია რთულია, მაგრამ არაგონივრული იქნება მოსულის ტერორისტების ხელში დატოვება, რათა ის არ იქცეს მათი აქტიურობის ცენტრად. საჭიროა ბრძოლა და ამ ბრძოლას თავისი ფასი აქვს“. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებისგან ქალაქ მოსულის გათავისუფლების ოპერაცია 2016 წლის ოქტომბერს დაიწყო. ოპერაციაში ასევე მონაწილეობს საერთაშორისო კოალიცია, რომელსაც სათავეში აშშ უდგას.

◎ მშვილდოსნობა

შვილმა დედას აჯობა

ბათუმის ანგისას სტადიონზე დამთავრდა მშვილდოსანთა საქართველოს ჩემპიონატი. საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ქალთა შორის — ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დედა-შვილი — ხათუნა ნარიმანიძე და ციკო ფუტკარაძე. ორთაბრძოლა ერთობ დაძაბული გამოდგა და გამარჯვებული მხოლოდ გადასროლამ გამოავლინა.

შეჯიბრებაში ტრავმის გამო არ მონაწილეობდა მსოფლიოს ვიცეჩემპიონი ქრისტინე ესებუა, სამაგიეროდ, სარბიელზე კვლავ გამოჩნდა საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, ხელვაჩაურელი ასმათ დიასამიძე. საკვალიფიკაციო ეტაპი ფუტკარაძემ 617 ქულით დაასრულა, ნარიმანიძემ კი — 611 ქულით.

პლეი ოფში ფუტკარაძემ ჯერ თბილისელი თეა ბოლქვაძე დაამარცხა — 6:0, შემდეგ ნახევარფინალში დიასამიძესაც 6:0 მოუგო. ნარიმანიძემ თბილისელ თეონა კუტალაძეს აჯობა — 6:2, შემდეგ კი ბათუმელ მარიკა მახარაძეს 6:0 სძლია. ფინალი ფრედ დასრულდა — 5:5 და, წესისამებრ, დაინიშნა გადასროლა, ანუ დამატებით ორივე მონაწილემ თითო ისარი ისროლა. აქ კი უფრო ზუსტი ფუტკარაძე აღმოჩნდა, რომელმაც 8:7 გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში მახარაძემ დიასამიძეს აჯობა.

ვაჟებში გიორგი გელაშვილი მეორე წელიწადია მშვილდოსნობაში ვარჯიშობს, თუმცა, ამ ჩემპიონატზე ძალიან კარგად იასპარეზა: ჯერ გია ბენიძეს მოუგო - 6:0, მეოთხედფინალში მამუკა შუშაძე ჩამოიშორა გზიდან — 6:2, ნახევარფინალში ლაშა ფხაკაძესაც სძლია: 5:5-ზე გადასროლით 9:8 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა.

ზურაბ მესტვირიშვილი პირველ წრეში ისვენებდა, შემდეგ კი ჯერ ტარიელ ქადიძეს 6:0 აჯობა, ხოლო ნახევარფინალში ჯაბა მოსეშვილი 7:1 დაამარცხა. მან ფინალში გიორგი გელაშვილთანაც იოლად მიაღწია წარმატებას — 6:2 და დამსახურებულად მოიპოვა ოქროს მედალი. „ვერცხლი“ გელაშვილს ერგო, ფხაკაძემ კი მოსეშვილს 6:1 მოუგო და მესამე პრიზიორი გახდა.

ახალგაზრდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. ანა დუმბაძე (ხელვაჩაური), 2. მარინა ჩუმაჩენკო, 3. მირანდა კვერნაძე (ორივე-თბილისი); **ვაჟები.** 1. ნოდარ გათენაძე (ხელვაჩაური), 2. ლაშა სალუქვაძე, 3. ვლადიმერ დოლიძე (ორივე-თბილისი).

ლაშა დიდია

◎ წყალბურთი

„ოქროს“ დუბლი სლოვაკეთში

რევაზ იმნაიშვილი

შარშან „ნოვაკმა“ სლოვაკურ სეზონში დუბლი შეასრულა და როგორც ქვეყნის ჩემპიონობა, ისე ეროვნული თასი მოიპოვა. და აი, მორიგი წარმატება — საქართველოს ნაკრების წევრების რევაზ იმნაიშვილისა და გიორგი მაგრაქველიძის კლუბმა წლეულსაც ოქროს მედლები დაიმსახურა.

რვა გუნდის მონაწილეობით გამართული რეგულარული პირველობის შემდეგ უძლიერესთა კვარტეტმა ბრძოლა პლეი–ოფში განაგრძო: „ნოვაკი“ — „სლავია“ (ბრატისლავა) 10:7, 10:10, „ნოვაკი“ — „ჰორნეტი“ (კოშიცე) 13:10, 5:5; „ნოვაკი“ — „მადრი“ (კოშიცე) 15:5, 17:6.

აღსანიშნავია, რომ სატიტულო მატჩებში გოლები ჩვენმა თანამემამულეებმაც გაიტანეს: მაგრაქველიძემ — 3, ხოლო იმნაიშვილმა — 2.

რაც შეეხება იტალიის „სერია — ა“-ში მოთამაშე „ჯვაროსნებს“ — მარკო ელაჩას „სპორტმენეჯმენტი“ ფინიშამდე 6 ტურით ადრე 49 ქულით მესამე ადგილზეა, რომის „ვის ნოვა“ კი, რომლის ღირსებასაც ყველაზე პერსპექტიული ქართველი ლეგიონერი ანდრია ბითაძე იცავს, 20 ქულით სატურნირო ცხრილის მეცხრე პოზიციას იკავებს.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

უესტბრუკის 37-ე სამმაგი დუბლი

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მორიგი შეხვედრები გაიმართა.

„დალასი“ შინ „ოკლაჰომასთან“ 91:92 დამარცხდა. რასელ უესტბრუკმა მიმდინარე სეზონში 37-ე სამმაგი დუბლი შეასრულა — 37 ქულა, 13 მოხსნა და 10 პასი. რასელს ოსკარ რობერტსონის სარეკორდო 41 სამმაგ დუბლამდე 4 სამმაგიღა აშორებს. მიმდინარე რეგულარულ სეზონში უესტბრუკს კიდევ ცხრა შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი. რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, მატჩის ბოლო წამებზე „დალასი“ 91:90 იგებდა, თუმცა, გამარჯვების მომტანი ორქულიანი რასელ უესტბრუკმა ჩააგდო.



დღის ცენტრალურ შეხვედრაში „სან ანტონიომ“ შინ „კლივლენდი“ 103:74 გაანადგურა. მატჩში ყველაზე მეტი 25 ქულა კავაი ლეონარდის ანგარიშზეა, „კლივლენდში“ კი ყველაზე მეტი 17 ქულა ლებრონ ჯეიმსს ჰქონდა.

ამ მარცხით „კლივლენდი“ აღმოსავლეთ კონფერენციაში ჩამოქვეითდა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „კავალიერზს“ 47 მოგება და 26 წაგება აქვს, ხოლო პირველადგილოსან „ბოსტონს“ — 48 მოგება და 26 მარცხი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

შაფათავა წყვილებშიც პირველია

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ლიდერმა სოფიო შაფათავამ ანტალიაში გამართულ 15.000-იან საერთაშორისო ტურნირზე წარმატებას წყვილებში მიაღწია. ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად მან სტარტზე მასპინძლები — დენიზ პეიკოვიჩი და დოგა თურქმენი დაამარცხა — 6:0, 6:0, შემდეგ მილიცა კურბანოვიჩი და ბოიანა მარკოვიჩი (ორივე-სერბეთი) ჩამოიშორა გზიდან — 6:2, 6:2, ნახევარფინალში ალიონა ფომინა (უკრაინა)-დოგა სელინ თაქუნიაჩის (თურქეთი) დუეტს სძლია — 6:4, 6:3, გადამწყვეტ პაექრობაში სანდრა იამრიჩოვას (სლოვაკეთი) და ელენა სიმიჩს (ბოსნია) აჯობა — 6:4, 7:5 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ სოფიომ იქვე გამართული ანალოგიური ტურნირი მოიგო ერთეულთა თანრიგშიც, თანაც საპრიზო ფონდი მაშინაც 15 000 ევროს შეადგენდა.

გივი გაგუა

სურათზე: სოფიო შაფათავა (მარცხნივ) და ქსენია პალკინა.

◎ საფეხბურთო მოზაიკა

კრიშტიანუ რონალდუ უმდიდრესია

მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ავტორიტეტულმა გამოცემა France Football-მა შეისწავლა ფეხბურთელთა შემოსავალი მიმდინარე სეზონში და აღმოჩნდა, რომ პორტუგალიელი ყველაზე მეტს გამოიმუშავებს.

რონალდუმ არგენტინელი ლიონელ მესი მოიტოვა უკან, რომელიც აქამდე ლიდერობდა აღნიშნულის მხრივ. აქვე გეტყვით, რომ შემოსავალში ნაგულისხმევია არამარტო ხელფასები და პრემიები, არამედ სარეკლამო კონტრაქტებიც.

მიმდინარე სეზონში ყველაზე მაღალშემოსავლიან ფეხბურთელთა ხუთეული კი ასეთია:

1. კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“, პორტუგალია) — 87.5 მილიონი ევრო,
2. ლიონელ მესი („ბარსელონა“, არგენტინა) — 76.5 მილიონი ევრო,
3. ნეიმარი („ბარსელონა“, ბრაზილია) — 55.5 მილიონი ევრო,
4. გარეტ ბეილი („რეალი“, უელსი) — 41 მილიონი ევრო,
5. ეზეკიელ ლავეცი („ჰებეი ფოტუნი“, არგენტინა) — 28.5 მილიონი ევრო.



დასჯიან მესის?

არგენტინის ნაკრების ლიდერ ლიონელ მესის, შესაძლოა, მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი ბოლივიის წინააღმდეგ გაუცდეს. როგორც ცნობილი ხდება, კონმებოლის სადისციპლინო კომიტეტი ლიონელის დასჯას ჩილესთან მატჩში მსაჯის მიმართ გამოხატული აგრესიულობის გამო აპირებს.

აღნიშნულ საკითხზე სამხრეთამერიკული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა უახლოეს საათებში უნდა იმსჯელონ და გადაწყვეტილებაც მიიღონ, რადგან ბოლივიასთან მატჩი კარსაა მომდგარი.

ბოლივია — არგენტინის შეხვედრა ლა პასში დღეს გაიმართება.

ესპანური გრანდები ლემარით დაინტერესდნენ

„მონაკოს“ ვინგერით თომას ლემარით ესპანური გრანდები „ატლეტიკო“ და „ბარსელონა“ დაინტერესდნენ — იუწყება ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L'Equipe.

21 წლის ფეხბურთელი შესანიშნავ სეზონს ატარებს და თანაგუნდელთა მსგავსად ძლიერი კლუბების ინტერესს არ უჩივის. მას "მონეგასკებთან" მოქმედი კონტრაქტი 2020 წლამდე აკავშირებს და „თრანსფერმარკტ“-ი მის სატრანსფერო თანხად 20 მილიონ ევროს ასახელებს.

ლემარმა მიმდინარე სეზონში 42 შეხვედრა ჩაატარა, 11 ბურთი გაიტანა და 10 საგოლე გადაცემა მიითვალა.

გიორგი ზოთაძე

SOS

ესპანეთში ბინის მძარცველთა 60 პროცენტი ქართველები არიან

გერმანიის რადიოკომპანია „დოიჩე ველეს“ („გერმანული ტალღის“) მიერ გამოქვეყნებულ მასალაში განხილულია ბოლო დროს ესპანეთში ქართველი ქურდების დაკავების ფაქტები, საუბარია მათი კრიმინალური საქმიანობის მიზეზებზე – რატომ ქურდობენ, ვინ აიძულათ, როგორ ცხოვრობენ და ა.შ. რადიოს კორესპონდენტი ვიქტორ ჩარეცკი მადრიდში ყოფნის დროს ერთ-ერთ ქართველ ინკოგნიტო ქურდსაც შეხვდა, რომელმაც ბევრი რამ უამბო თავისი რთული ესპანური ცხოვრებიდან.

რატომ ებრალებათ ესპანელებს ქართველი ქურდები?

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალას მცირე შემოკლებით:

„მარტის შუა რიცხვებში ესპანეთის ეროვნულმა პოლიციამ გაავრცელა ინფორმაცია 48 ქართველი ქურდის დაკავების თაობაზე, რომელთა ასაკი 20-დან 35 წლამდეა. საქმე ეხება ბოლო 9 თვის განმავლობაში მესამედ ჩატარებულ ოპერაციას „ქართული მაფიის“ წინააღმდეგ, კოდური სახელწოდებით „Aikon“. ყველას ბრალად აქვს წაყენებული ბინების ძარცვა. ეს დანაშაული, ესპანეთის კანონებით, მძიმე სამართალდარღვევად არ ითვლება, ამიტომაც ბევრი ეჭვმიტანილი სასამართლომდე დროებით გაათავისუფლეს, თუმცა, რადგანაც სხვა საარსებო წყარო არ აქვთ, ზოგიერთ მათგანმა ისევ ქურდობას მიჰყო ხელი.

ახალგაზრდა გიორგი ოთახში ოთხ ქართველთან ერთად ცხოვრობს. რადგანაც მისმა თანამემამულეებმა არც რუსული და არც ესპანური ენა არ იციან, მათ ნაცვლად გიორგი ლაპარაკობს დამტვრეული რუსულ-ესპანურით. მათ გვერდით ოთახებშიც ასევე ქართველები არიან, რომლებიც „ხაზეინს“ემსახურებიან. „ადრე ჩვენ უფრო მეტნი ვიყავით, მაგრამ ახლა ზოგი ციხეში ზის, ზოგი არალეგალური იმიგრანტების ცენტრში იმყოფებიან“, – ამბობს გიორგი. მას საქართველოდან ესპანეთში წასვლა „ხაზეინის“ ხალხმა შესთავაზა. ვინ არის „ხაზეინი“? გიორგი მის სახელს არ ამხელს, მაგრამ ამბობს, რომ იგი „ძალიან ავტორიტეტული პიროვნებაა“. „აბა რა მექნა, საქართველოში სამუშაო ვერ ვიპოვე... ფული ვისესხე, დოკუმენტები გავაკეთე და ესპანეთში წამოვედი. დიდი ფული დამიჯდა. დღეს საქართველოში ყველაფერი გაძვირებულია“, თავს იმართლებს გიორგი. მას ვალი მთლიანად ჯერ კიდევ არ გაუსტუმრებია.

გიორგი და მისი „ზემლიაკების“ ცხოვრების პირობები შესაშური ნამდვილად არ არის: ისინი ყველა ერთად არიან, იატაკზე სძინავთ და მშრალი ულუფით იკვებებიან. „უფროსები“, ანუ ისინი, რომლებიც ესპანეთში უკვე დიდი ხანია, ცხოვრობენ და იმავე „ხაზეინის“ სასარგებლოდ „მუშაობენ“, ახლადჩამოსულებს აფრთხილებენ, რომ ქალაქში ტყუილად ნუ გავლენ, რათა ხიფათს არ გადაეყარონ – ირგვლივ ყველგან პოლიცია დგას. „პოლიციამ მეც დამიჭირა, მაგრამ ჯერჯერობით გამომიშვეს. ახლა აღარ ვიცი, რა გავაკეთო“, – გულახდილად ამბობს გიორგი.

რატომ არ აქვს გიორგის ფული? მისი „სპეციალობა“ ხომ კარგი შემოსავლის მომტანი იყო? ესპანეთის პოლიციის მონაცემებით, ბინის მძარცველთა 60% სწორედ ქართველები არიან. მათ ხელში ხვდება ნაძარცვი ნივთები, რომელთა ფასი ასეულ ათასობით ევროს აჭარბებს. ამ კითხვის პასუხად გიორგი მხრებს იჩეჩავს: „რასაც ვიპარავდით, უფროსობას ვაბარებდით... უფროსობა კი ამბობს, რომ ნაძარცვის გასაღება გართულდაო, ხარჯებიც მატულობსო – ბინების გასატეხი ინსტრუმენტები გაძვირდა, თან მათაც ხომ უნდათ რაღაც შემოსავალი“. ასე რომ, გიორგის და მის „ზემლიაკებს“ დღეში მხოლოდ 20-30 ევრო გამოსდით.

კითხვაზე, თუ რატომ არ ცდილობს ნორმალურ ლეგალური სამსახურის პოვნას, გიორგი პასუხობს, რომ თავდაპირველად იგი მშენებლობაზე მუშაობდა, მაგრამ შემდეგ ქურდობა რომ დაიწყო, ძველ სამუშაოზე დაბრუნება არ შეუძლია – იგი ხომ უკვე დანაშაულში ეჭვმიტანილია. თუმცა გიორგის ადვოკატის იმედი აქვს: იქნებ მხოლოდ პირობითი სასჯელი მისცენ და მისი საქართველოში დეპორტაცია არ მოახდინონ.

ესპანეთის ეროვნული პოლიციის წარმომადგელი „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტთან საუბრისას ამბობს, რომ გამომძიებლებს და მოსამართლეებს დაჭერილი ქართველი ქურდები „ხშირად ებრალებათ“ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ ჩადენილმა ძარცვა-ქურდობებმა მადრიდში „საზოგადოების მნიშვნელოვანი შეშფოთება“ გამოიწვია. პოლიციელი განმარტავს, რომ ეს ქურდები, რომელთაგან ბევრი ნარკოტიკებსაც მოიხმარს, „ფაქტიურად დამონებული ადამიანები არიან, რომლებიც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ“. მათ მაფია შეუბრალებლად უწევს ექსპლოატაციას, თვითონ მაფიოზები კი ჩრდილში რჩებიან. როგორც პოლიციელი აცხადებს ინტერვიუში, ოპერაცია „Aikon“-ის ჩატარებისას მისი კოლეგები ცდილობდნენ მაფიის მთელი სტრუქტურის გამოვლენას, რომელშიც ბინების მძარცველ ქურდებს მხოლოდ ყველაზე დაბალი საფეხური უკავიათ. როგორც პოლიციამ გამოარკვია, ქართველი ქურდების ესპანურ ქსელს ვინმე რომან ჩ. ხელმძღვანელობდა, ხოლო ნაძარცვ ნივთებს მერაბ ტ. ასაღებდა.

„დოიჩე ველეს“ რესპონდენტის თქმით, ესპანეთში დანაშაულებრივი სქემის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ქუთაისელი „კანონიერი ქურდი“, 45 წლის ზვიად დ. ამჟამად იგი დაპატიმრებულია და გამოძიება მიმდინარეობს. დაკავებამდე ზვიად დ. სხვა რიგითი ქურდებისაგან განსხვავებით, უჭირველად ცხოვრობდა მშვენიერ ვილაში, ხშირად იცვლიდა ძვირად ღირებულ და პრესტიჟული მარკების ავტომანქანებს, აწყობდა ბანკეტებს რესტორნებში, მისი ცოლი კი მადრიდის ყველაზე ძვირფასი მაღაზიების კლიენტი იყო.

ესპანეთში ქართველი მძარცველების კიდევ ერთი კურატორია „კანონიერი ქურდი“ კახაბერ შ. ესპანეთის სასამართლომ მას 2016 წელს 20-წლიანი ციხე მიუსაჯა, ახლახანს კი, 20 მარტს, მისი პატიმრობის ვადა 15 წლამდე შემცირდა – ადვოკატებმა მოახერხეს იმის დამტკიცება, რომ კახაბერს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდაო, მის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებაში კი, სხვა დანაშაულთან ერთად, იარაღის უკანონო შენახვაც ფიგურირებდა.

სხვათა შორის, პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ქართველი ქურდების „ახალი ხაზეინი“ ესპანეთში ვინმე სპარტაკ ჯ. გახდა, რომელმაც საქართველოში 18-წლიანი პატიმრობა მოიხადა მკვლელობის გამო, თუმცა ესპანეთის პოლიციისათვის მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია“.

„Deutsche Welle“ **(გერმანია)**

გამოსათხოვარი

ნანა მუშკუდიანი, ლალი ჩიქოვანი, ზურაბ და ალეკო ტაბიძეები, ვახტანგ ყურაშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, თემურ სუბატაშვილი, სპარტაკ ხუნწელია თანაუგრძნობენ გიული რატიანს, ლევან და გიორგი ჩაჩუებს დისა და დედის, კეთილშობილი ქალბატონის

ლამარა რატიანი-ჩაჩუას

გარდაცვალების გამო.

ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, ზურაბ წულუკიძე, დათო გრიგორაშვილი, გია იაკობაშვილი, თენგიზ სულაძე, თამაზ ყურაშვილი სამძიმარს უცხადებენ მანანა და ზაზა ასათიანებს ძმის

თამაზ ასათიანის

გარდაცვალების გამო.

დები ნანა ასათიანი, მარიკა ჩაჩიბაია, დისწული ქეთევან ასათიანი, სიძე გიორგი ჩიჩუა, მარიამ, ლიზა, სანდრო ჩიჩუები, დეიდაშვილები რუსუდან ურიდია, თინა, თამაზ ჭიჭინაძეები, სიძე ჯუმბერ პატიაშვილი, მამიდაშვილი არჩილ ვაშაკიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ არჩილის ძე ჩაჩიბაია

პანაშვიდი 30 III, 19 სთ. 31 III, 17 სთ. გამოსვენება 1 IV, ქაშუეთის ეკლესიიდან 15 სთ.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №35ა, II სადარბაზო (შესახვევი თურქეთის საელჩოს შენობის გვერდით).

მკვლელობა ნაფარეულში

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის და თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1995 წელს დაბადებული გ.ძ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დაიკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გ.ძ.-მ თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელს – 1989 წელს დაბადებულ ვ.ს.-ს სანადირო თოფიდან 2-ჯერ ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, გ.ძ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, თელავის რაიონის სოფელ კონდოლში დაიკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – არარეგისტრირებული სანადირო თოფი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში („სრ“ №65) მესამე გვერდზე ბატონ ზაურ თელიას წერილში „დრონა, დავფიქრდეთ)“ გაიპარა დასანანი შეცდომა. მეორე აბზაცში „მაშინდელი შს მინისტრად ახლად დანიშნული ბატონ შოთა კალანდაძესთან შეევედი...“ უნდა იკითხებოდეს „...ბატონ შოთა გორგოძესთან შეევედი“... დანარჩენი როგორც ტექსტშია.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

◎ ანდრო კანდელაკის ვერნისაჟი

ღიმილი, რომელმაც საუკუნე გამოიარა

სახვითი ხელოვნების ყველაზე „ჟურნალისტური“ მიმართულების — პოლიტიკური სატირისა და იუმორისტული კარიკატურის უბადლო ოსტატის, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, თვითმყოფადი წარმომადგენლის ანდრო კანდელაკის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.



სწორედ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს (თუმცა მცირედი დაგვიანებით) მიეძღვნა „Iart“ გალერეაში ჩინებული მხატვრის ნამუშევართა გამოფენა და შესანიშნავი წიგნის „მხატვრის ღიმილის“ წარდგინება, რომელსაც მრავალი ჩვენი კოლეგა ჟურნალისტი, რომელთაც ბატონ ანდრო კანდელაკთან მუშაობის ბედნიერება ხვდა წილად, ასევე მეგობარი მხატვარი, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი დაესწრო.

„...იუმორი, ბანალურ სიტუაციაში სასაცილო მხარის დანახვის უნარი, ადამიანის ის ერთ-ერთი უპირველესი თვისებათაგანია, რომელიც მას დედამიწის ბინადართა შორის გამორჩეულ ადგილზე აყენებს. და, მიუხედავად ამისა, ადამიანთა შორის კიდევ არის ამ ულამაზესი ნიჭით დაჯილდოებული, განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით გამორჩეული და, რაც მთავარია, მისი გამოხატვის დიდებულად შემძლე ხალხი“, — წიგნის „მხატვრის ღიმილის“ წინასიტყვაობის ეს მცირედი ამონარიდი თითქმის ამომწურავად ასახავს ბატონ ანდრო კანდელაკის უაღრესად საგულისხმო შემოქმედებით გზას, რომელმაც გასულ საუკუნეში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქართული, ასევე საბჭოური ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე გაიარა.

მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია შორეულ 1935 წელს, საქართველოს მთავარ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ დაიწყო, შემდგომ, დიდი სამამულო ომის წლებში, მისი ჩანახატები თუ სატირული ნამუშევრები სხვადასხვა სამხედრო გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა. მერე და მერე მხატვრის შემოქმედებითი ნიჭი საქართველოს სხვა პერიოდულ გამოცემაშიც გამოჩნდა, ქვეყნის ფარგლებსაც გასცდა.

წიგნში „მხატვრის ღიმილი“ ბატონ ანდრო კანდელაკისადმი ძალიან ბევრი სიტყვაა ნათქვამი ქართველი საზოგადოების მრავალი გამორჩეული წარმომადგენლის მიერ, მათ შორის არიან ცნობილი ჟურნალისტები, მხატვრები, სპორტსმენები, მსახიობები — არჩილ გოგელია, არმაზ სანებლიძე, ნონა გაფრინდაშვილი, გურამ გოგიაშვილი, დემიკო ლოლაძე, გოგი თოთიბაძე, დემურ ბაშელეიშვილი, გიული ჭოხონელიძე, მერაბ მერაბიშვილი და სხვები.

როგორც ვთქვი, უზადო კარიკატურისტის შემოქმედება საბჭოთა კავშირის საზღვრებსაც გასცდა, რაც კარგად ჩანს აკადემიკოს დემურ ბაშელეიშვილის წერილის ერთ პატარა ფრაგმენტში:

„ანდრო კანდელაკმა, როგორც პოლიტიკური სატირის უბადლო ოსტატმა, ღირსეული ადგილი დაიკვა ქართული სახვითი ხელოვნების ამ მეტად რთული და მნიშვნელოვანი ჟანრის შემოქმედთა თანავარსკვლავედში. ალბათ, ამან ათქმევინა თბილისში ჩამოსულ სახელგანთქმულ კარიკატურისტს ჰერლუპ ბიდსტრუპს: კანდელაკი კანდსტრუპია, მე კი — ბიდელაკიო“.





წიგნი „მხატვრის ღიმილი“ უხვადაა დასურათებული ბატონ ანდრო კანდელაკის ომისდროინდელი გრაფიკული ნამუშევრებით, სატირული პლაკატებითა და იუმორისტული სერიებით, ზღაპრების ილუსტრაციებით, გამოფენის ნამდვილი მშვენება კი მის მიერ შესანიშნავად გაფორმებული საართველოს ტურისტული რუკის ორი ვარიანტია, რომლებითაც ვერნისაჟის სტუმრები დასაჩუქრდნენ.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

სააკაშვილი ტელეწამყვანი?

მიხეილ სააკაშვილი ტელეწამყვანი გახდება. ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი სოციალურ ქსელ ფეისბუქში წერს. სააკაშვილის თქმით, ის ტელეკომპანია Zik-ზე ყოველკვირეულ თოქ-შოუ „სხვა უკრაინას“ გაუძღვება. „ახალი პროგრამა ეთერში მალე გავა და მე თქვენ განახებთ სხვა უკრაინას, რომელსაც არსად სხვაგან, არც ერთ არხზე არ განახებენ,“ — წერს სააკაშვილი.

სიბერის წამალი

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში მკვლევართა ჯგუფმა აკადემიკოს ვ. სკულაჩევის ხელმძღვანელობით ახლახან დაასრულა ნებაყოფლობით მოხალისეებზე „სიბერის წამლის“ გამოცდების პირველი ეტაპი.

ესაა დასალევი ხსნარი, რომლის მოხმარებას არასასურველი თანამდევი მოვლენები არ მოჰყოლია, ამის გარკვევა კი გამოცდების პირველი ფაზის მთავარი ამოცანა იყო.

იმისათვის, რომ პრეპარატი სააფთიაქო ქსელში გამოვიდეს და საერთაშორისო ბაზარზეც გაიტანონ, ამერიკელებმა ცხოველებზე დამატებითი ექსპერიმენტების სერიის ჩატარება მოითხოვეს, რაც, მკვლევართა ჯგუფის წარმომადგენლის განცხადებით, განხორციელდა კიდეც. ახლა მოხალისეებზე მსგავსი გამოცდები ამერიკაში ჩატარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიურ გამოცდას ამერიკაში თვალის წვეთებიც გადის.



ეს წალმები ეგრეთ წოდებული „სკულაჩევის იონების“ საფუძველზე მზადდება. მეცნიერთა აზრით, ისინი ხელს უშლიან ორგანიზმის უჯრედში დაჟანგვის პროცესების წარმართვას და მათ ახალგაზრდობას უნარჩუნებენ. საბოლოო მიზნად კი მეცნიერებს დაბერების მექანიზმების „გათიშვა“ და ახალგაზრდობის გახანგრძლივება ესახებათ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4455; ევრო - 2.6573;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0794;
100 რუბლი - 4.3079; თურქული ლირა - 0.6796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4423;
1000 სომხური დრამი - 5.0506.

ამინდი 29 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge